ეროვნული ბიბლიოთეკა

8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა

# მოგილოცავთ, ჩვენო ქვირფასო მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 57 (13739) | ოთხშაბათი, 8 მარტი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ლაღად ჟღერს ჩვენს ქვეყანაში ქალის სახელი. ქალები მარტო კარგი მეოჯახენი კი არ არიან, ისინი მამაკაცების გვერდით შრომობენ და მოღვაწეობენ ცხოვრების ყველა უბანზე, ეწევიან საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ქმნიან დოვლათს. ქალები არიან მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები, მსახიობები, კოლმეურნეები, ფაბრიკა-ქარხნების მუშები. ბევრმა ქალმა გაითქვა სახელი და სახელმწიფომაც ღირსეულად დააფასა ისინი. ბევრს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, ბევრი კი ჩვენი ქვეყნის პარლამენტის წევრია და დიდი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობს.

კიდევ რამდენიმე დღე, და ჩვენი რესპუბლიკის ამომრჩევლები მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ თავიანთ რჩეულთ, რომელთა შორის ძრავალი ქალია. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ჩვენს მოწინავე ქალებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, რესპუბლიკის წარჩინებულ მეჩაიეს წულუკიძელ დალი წიჭწივაძეს, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის ჩაის უხვი მოსავლის ოსტატს ციალა ყოლბაიას, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მომღერალს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს მედეა ამირანაშვილს და რუსთავის ქიმიური კომბინატის ლაბორანტს ალა პოლინცევას.



ჩ ვ ე ნ ი



ხ ა ლ ხ ი ს



ღ ი რ ს ე უ ლ ი



შ ვ ი ლ ე ბ ი

# ს ა ბ ჭ ო თ ა ქ ა ლ ე ბ ს

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

## ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის გამო

ძვირფასო ამხანაგო ქალებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს — თანასწორუფლებიანობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში ქალთა სოლიდარობის დღესასწაულს.

ჩვენს ქვეყანაში 8 მარტის დღე ერთ-ერთი საყვარელი სახალხო დღესასწაული გახდა, და ეს ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა იმისა, თუ რა უდიდესი პატივისცემით სარგებლობენ ქალები საბჭოთა საზოგადოებაში.

წელს ჩვენი სამშობლო ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. სახელოვანი იუბილეს გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალთა საერთაშორისო დღესაც. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ ბოლო მოუღო ქალთა უუფლებობას, ბორკილი აჰყარა და გამოიყვანა საზოგადო, შემოქმედებითი საქმიანობის ფართო გზაზე, შეუქმნა უსაზღვრო შესაძლებლობანი ნიჭისა და უნარის განვითარებისათვის. მამაკაცებთან ერთად საბჭოთა ქალებმა, როგორც ომის მძიმე წლებში, ისე მშვიდობიანი მშენებლობის წლებში გამოიჩინეს სამაგალითო მამაცობა და გმირობა, თავდადებით და ბეჯითად შრომობდნენ და შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. მათ გაუძლეს ყველა სიძნელესა და განსაცდელს, რომლებიც წილად ხვდათ მსოფლიოში პირველი სოციალისტური წყობილების შემქმნელებს.

სოციალიზმის პირობებში ჩვენი ქვეყნის ქალები გახდნენ თავისუფალნი და თანასწორუფლებიანნი, ამაყნი და გაბედულნი, განათლებულნი და აქტიურნი, მომავლის რწმენით აღსავსენი და ბედნიერნი. საბჭოთა ქალები აღტაცებულია, მათ ბაძავს, მათგან მაგალითს იღებს მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელი ქალი.

სსრ კავშირში ქალებს შექმნილი აქვთ ფართო ასპარეზი გამოიყენონ ენერგია და ინიციატივა. მილიონობით საბჭოთა ქალი მუშაობს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, სპორტულ ორგანიზაციებსა და საბავშვო დაწესებულებებში. მათი ნიჭი, მძიებელი გონება, გულისხმიერება, მზრუნველი თვალი იგრძნობა ყველგან, კომუნისტური მშენებლობის ყოველ უბანზე.

ასრულებენ რა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ანდერძს, საბჭოთა ქალები მამაკაცების თანაბრად აქტიურად მონაწილეობენ ყველა სახელმწიფო საქმეში: საბჭოთა კანონების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გეგმების შემუშავებასა და მიღებაში, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. პარტიულ ყრილობებსა და კონფერენციებზე, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში, ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია ასეულ ათასობით ქალი.

ჩვენი ქალები თავიანთ შვილებს უნერგავენ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს — კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულებას, მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობას, შრომისმოყვარეობას, კოლექტივიზმს, საბჭოთა პატრიოტიზმსა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ იმისათვის, რომ უფრო კარგი და ლამაზი იყოს ქალების ცხოვრება, ცდილობენ უფრო სრულად დააკმაყოფილონ მათი სულიერი მოთხოვნილებანი. წლითიწლობით უმჯობესდება საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, სულ უფრო მეტი შენდება საბავშვო ბაღები და ბაგები, სრულყოფილი ხდება სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა ოჯახი, ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო მკვიდრდება კომუნისტური მორალის პრინციპები.

დიდია საბჭოთა ქალების როლი ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში. წლითიწლობით მტკიცდება მათი კავშირი მთელი მსოფლიოს ქალთა პროგრესულ ორგანიზაციებთან. საბჭოთა კავშირის ქალები უუფლებობისა და სიღატაკის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ბავშვების ბედნიერებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან, ისინი გადაჭრით გმობენ ამერიკის ყაჩაღურ აგრესიას ვიეტნამის წინააღმდეგ, გმობენ იმპერიალისტთა იმ ცდებს, რომ კაცობრიობას თავს დაატეხონ ახალი მსოფლიო ომი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ქალები, მთელ ხალხთან ერთად, კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, თავიანთი თავდადებული შრომით განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს შეხვდებიან ახალი მიღწევებით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა ქალებს:

— კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშის ქვეშ;

— იყავით კომუნიზმის მშენებელთა, მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა პირველ რიგებში;

— სულ უფრო განამტკიცეთ მჭიდრო მეგობრობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ქალებთან, გაუზიარეთ მათ შრომის, საზოგადოებრივი საქმიანობისა და ბავშვთა აღზრდის გამოცდილება;

— სულ უფრო განამტკიცეთ ინტერნაციონალური კავშირი მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელ ქალებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ უსურვებს საბჭოთა ქალებს შემოქმედებითს წარმატებებს შრომაში, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, დიდ ბედნიერებას ცხოვრებაში.

გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, რომელმაც საბჭოთა ქალებს მოუტანა თავისუფლება, თანასწორუფლებიანობა და ბედნიერება!

პატივი და დიდება საბჭოთა ქალებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## ნათელი დღესასწაული

### მოსკოვი

7 **მარტს**, ქალთა საერთაშორისო დღის წინ, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა მოსკოვის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო კრება.

დარბაზში ტაშმა იქუხა, როცა პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ამხანაგები **გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. ანდროპოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი.**

საზეიმო კრება გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ე. ი. პროსვეტოვამ**. მან წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ქალებისადმი 8 მარტის ქალთა საერთაშორისო დღის გამო.

შემდეგ გამოვიდნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი **რ. ფ. დემენტიევა**, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოპოვა** — ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პრეზიდენტი **ე. კოტონი**, სამხრეთ ვიეტნამის ქალთა დელეგაციის მეთაური **ნგუენ ნგოკ დუნგი** და სხვები. (საკდები).

### თბილისი

ნათელ, სასიხარულო დღესასწაულს — ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს მიეძღვნა თბილისის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც 7 მარტს გაიმართა ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში.

კრების პრეზიდიუმში არიან ვ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჯანუყვაძე, შ. დ. პიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. მ. სირაძე, ნ. გ. გომელაური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ი. ა. შევარდნაძე, ე. ა. სალუქვაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ფ. დ. დუმბაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები შ. ა. სალარიძე, დ. ბ. ლაშქარაძე, რესპუბლიკის წარჩინებული ქალები — მრეწველობის სახელოვანი მშრომელები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ე. ა. სალუქვაძემ.

კრების მონაწილეთ მიესალმნენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ზეინკალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ჩადუნელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, ქალაქის პირველი საბავშვო საავადმყოფოს თერაპიის განყოფილების გამგე, პროფესორი ი. ფაღავა.

მშრომელი ქალებისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა მ. ფოცხიშვილმა.

საზეიმო კრების მონაწილეებს მიესალმნენ თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელები.

დასასრულ კრების მონაწილეებს ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივმა უჩვენა ი. კალმანის ოპერეტა „სილვა". (საქინფორმი).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოში

# გარდამავალი წითელი დროშები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

**ახორციელებენ** რა პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა (1965 წ.) და მაისის (1966 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში. ჩვენს ქვეყანაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა ბევრმა რაიონმა, კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორმა.

გასულ წელს მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭათ:

რაიონების პირველ ჯგუფში — **ლანჩხუთის** რაიონს, რომელმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებასა და მზა პროდუქციის გამოშვებაში. ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა რაიონმა შეასრულა 118,7 პროცენტით, აქედან პირველი ხარისხის ჩაის ფოთლისა — 117,2 პროცენტით. ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 5.434 კილოგრამი, 914 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1965 წელს. ბაიხაო ჩაის გამოშვების წლიური გეგმა რეალიზებულია 119,9 პროცენტით, აქედან უმაღლესი და პირველი ხარისხისა — 127,7 პროცენტით;

რაიონების მეორე ჯგუფში — **ტყიბულის** რაიონს, რომელმაც აგრეთვე საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებასა და მზა პროდუქციის გამოშვებაში. ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა რაიონმა შეასრულა 142,2 პროცენტით, აქედან პირველი ხარისხის ჩაის ფოთლისა — 136 პროცენტით. ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 5.660 კილოგრამი, 1.770 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1965 წელს. ბაიხაო ჩაის გამოშვების გეგმა რეალიზებულია 141,6 პროცენტით, აქედან უმაღლესი და პირველი ხარისხისა — 125 პროცენტით.

აღინიშნა, რომ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებისა და ბაიხაო ჩაის გამოშვებისათვის კარგად იმუშავეს **ცხაკაიას, ქობულეთის, ბათუმის, მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ხობის, ჩოხატაურის, გულრიფშის, გალის, ოჩამჩირის, წყალტუბოს, გუდაუთის, წულუკიძის, სამტრედიის** რაიონებმა.

რაიონების პირველ ჯგუფში — **წითელწყაროს** რაიონს, რომელმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში და პირუტყვის სულადობის ზრდაში. ხორცის შესყიდვის წლიური გეგმა რაიონმა შეასრულა 119,4 პროცენტით, რძისა — 112,8 პროცენტით, კვერცხისა — 130,9 პროცენტით, მატყლისა — 111,5 პროცენტით. ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა 1967 წლის პირველი იანვრისათვის 1966 წლის ამავე თარიღთან შედარებით შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 100,7 პროცენტს, აქედან ძროხისა — 101 პროცენტს, ცხვრისა და თხისა — 100,2 პროცენტს, ღორისა — 102,5 პროცენტს, ფრინველისა — 106 პროცენტს.

რაიონების მეორე ჯგუფში — **აბაშის** რაიონს, რომელმაც აგრეთვე საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში და პირუტყვის სულადობის ზრდაში. ხორცის შესყიდვის წლიური გეგმა რაიონმა შეასრულა 142 პროცენტით, რძისა — 117,6 პროცენტით, კვერცხისა — 113,8 პროცენტით. ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა 1967 წლის პირველ იანვარს 1966 წლის ამავე თარიღთან შედარებით შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 106,8 პროცენტს, აქედან ძროხისა — 109,1 პროცენტს, ღორისა — 113,7 პროცენტს, ფრინველისა — 158,1 პროცენტს.

აღინიშნა, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებისათვის და პირუტყვის სულადობის ზრდისათვის კარგად იმუშავეს **სიღნაღის, თეთრი წყაროს, ბოგდანოვკის, ლაგოდეხის, თიანეთის, გორჯომის, ყვარლის, გურჯაანის, დუშეთის, თელავის, თერჯოლის, გაგრის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ამბროლაურის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ხობის, მახარაძის, ჩოხატაურის, ოჩამჩირის, ქობულეთის, ახალციხის, ქარელის, გორის, ჯავის, ცაგერის** რაიონებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა **გაგრის** რაიონს, რომელმაც 1966 წლის მეოთხე კვარტალში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა. პირუტყვისა და ფრინველის დამზადების გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა რაიონმა შეასრულა 107,6 პროცენტით, რძისა — 151,4 პროცენტით, კვერცხისა — 147,7 პროცენტით. ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 1967 წლის 1 იანვრისათვის 1966 წლის ამავე თარიღთან შედარებით შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 101,2 პროცენტს, აქედან ძროხისა — 101,6 პროცენტს, ღორისა — 123,8 პროცენტს, ფრინველისა — 103,2 პროცენტს.

აღინიშნა, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებისათვის და პირუტყვის სულადობის ზრდისათვის 1966 წლის მეოთხე კვარტალში კარგად იმუშავეს **თეთრი წყაროს, ზუგდიდისა და გულრიფშის** რაიონებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა **მახარაძის** რაიონს, რომელმაც 1966 წელს აბრეშუმის პარკის წარმოებისა და დამზადების საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა. პარკის დამზადების წლიური გეგმა რაიონმა შეასრულა 109,5 პროცენტით, აქედან პირველი და მეორე ხარისხისა — 102,5 პროცენტით.

აღინიშნა, რომ მეაბრეშუმეობაში კარგად იმუშავეს **საჩხერის, ტყიბულის, წულუკიძის, ლანჩხუთის, გორის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ახმეტის, მცხეთის, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურის, ხობის, ცხაკაიას, გალის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და გეგეჭკორის** რაიონებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა **ქარელის** რაიონს, რომელმაც 1966 წელს საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა ხილის წარმოებასა და დამზადებაში. ხილის დამზადების წლიური გეგმა რაიონმა 123,3 პროცენტით შეასრულა.

აღინიშნა, რომ ხილის დამზადებაში კარგად იმუშავეს **ხაშურის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ყვარლის, გარდაბნის, მცხეთის, დუშეთის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს, სამტრედიის, ვანის, თერჯოლის, ამბროლაურის, ცაგერის, გეგეჭკორის** რაიონებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა **მცხეთის** რაიონს, რომელმაც 1966 წელს საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა ყურძნის წარმოებასა და დამზადებაში. ყურძნის დამზადების წლიური გეგმა რაიონმა 250,5 პროცენტით შეასრულა. ყურძნის მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 62,2 ცენტნერი, 25,4 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

აღინიშნა, რომ ყურძნის წარმოებასა და დამზადებაში კარგად იმუშავეს **ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ყვარლის, ხაშურის, კასპის, საგარეჯოს, წითელწყაროს, ლაგოდეხის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, წყალტუბოს, ვანის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, ჭიათურის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის** რაიონებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა **წულუკიძის** რაიონს, რომელმაც 1966 წელს სიმინდის წარმოებისა და დამზადების საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა. სიმინდის დამზადების წლიური გეგმა რაიონმა 104,5 პროცენტით შეასრულა. სიმინდის მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 21,4 ცენტნერი, 6,4 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

აღინიშნა, რომ სიმინდის წარმოებისა და დამზადებისათვის კარგად იმუშავეს **მარნეულის, ვანის, აბაშის, წყალტუბოს, თერჯოლის** რაიონებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა **ბოლნისის** რაიონს, რომელმაც 1966 წელს საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა თამბაქოს წარმოებასა და დამზადებაში. თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა რაიონმა 132,5 პროცენტით შეასრულა. ჰექტარზე მიღებულია საშუალოდ 20 ცენტნერი თამბაქო, 0,4 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1965 წელს.

აღინიშნა **ლაგოდეხის** რაიონის კარგი მუშაობა თამბაქოს წარმოებასა და დამზადებაში. (საქინფორმი).

# ხალხის ნდობა

## შეხვედრები ამომრჩევლებთან

**ქარელი.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი კეხიჯვრის № 101 საარჩევნო ოლქში სოფელ კეხიჯვრის კოლმეურნეობის წევრი **ნინო ალექსის ასული ელჩიბეგაშვილი** შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა კეხიჯვრის საშუალო სკოლის პედაგოგმა ჰ. ფანცულაიამ შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა და მოუწოდა მათ ხმა მისცენ ნ. ა. ელჩიბეგაშვილს.

ნდობით აღჭურვილ პირს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ახალსოფლის რვაწლიანი სკოლის პედაგოგმა ა. ტურტულაძემ, სოფელ გვერძინეთის ფერმის გამგემ ე. ზვიადაევმა, ზღუდერის საშუალო სკოლის პედაგოგმა ა. ლომაშვილმა და სხვებმა.

ნ. ა. ელჩიბეგაშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს გაწეული ნდობისათვის.

**თბილისი.** გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **გიორგი ვასილის-ძე წერეთელი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ქალაქ თბილისის ძერჟინსკის № 34 საარჩევნო ოლქში — შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლულმა მდივანმა ო. გვინჩიძემ მრავალრიცხოვან ამომრჩევლებს, რომლებიც შეიკრიბნენ თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დარბაზში, გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და სამეცნიერო მოღვაწეობა, თქვა, რომ იგი შესანიშნავი მეცნიერი და გულისხმიერი ამხანაგია. ო. გვინჩიძემ მოუწოდა ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეულ კანდიდატს გ. ვ. წერეთელს.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატმა, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის და პირობა მისცა, რომ გაამართლებს ამ ნდობას.

**თბილისის** საორთქლმავლო დეპოს კლუბში გაიმართა ქალაქ თბილისის კომკავშირის № 10 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, თბილისის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე **პავლე გიორგის-ძე არევაძესთან.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — თბილისის სალოკომოტივო დეპოს კადრების განყოფილების გამგემ პ. კოკოევმა დამსწრეთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა. კერძოდ, მან თქვა, რომ პ. გ. არევაძე სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ელმავლის ყველა საექსპლოატაციო მაჩვენებელს, პირველი კლასის მემანქანეა და სამგზავრო მატარებლები ზუსტად გრაფიკის შესაბამისად დაჰყავს. ნდობით აღჭურვილმა პირმა მოუწოდა ამომრჩევლებს **ხმა მისცენ პ. გ. არევაძეს.**

დეპუტატობის კანდიდატმა პირობა მისცა ამომრჩევლებს, **რომ გაამართლებს** მათს დიდ ნდობას.

**გორი.** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ბორის გერასიმეს-ძე გიგიბერია** შეხვდა შავშვების № 87 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს ხურვალეთის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ხურვალეთის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანმა მ. ლომიძემ, აგრეთვე ხურვალეთის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. თოიძემ და სხვა ამომრჩევლებმა თქვეს, რომ ბ. გ. გიგიბერია კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია და მოუწოდეს ამომრჩევლებს 19 მარტს ერთსულოვნად მისცენ მას ხმა.

ბ. გ. გიგიბერიამ მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს ნდობას.

**გარდაბანი.** გარდაბნის კიროვის სახელობის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის წარჩინებული მწველავი **გულსუმ აჰმედ ყიზი ალიევა** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი გარდაბნის № 77 საარჩევნო ოლქში შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — გარდაბნის კიროვის სახელობის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანმა ს. ყულიევმა, აგრეთვე გარდაბნის რუსული საშუალო სკოლის დირექტორმა ე. რაევამ და სხვა ამომრჩევლებმა თქვეს, რომ დეპუტატობის კანდიდატი კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის ღირსეული წარმომადგენელია და მოუწოდეს ამომრჩევლებს მისცენ მას ხმა.

— უკვე მეორედ მიცხადებთ დიდ ნდობას, თქვა შეხვედრაზე გ. ა. ალიევამ. ეს მავალებს, რომ უკეთ ვიმუშაო, მთელი ძალღონე, მთელი ენერგია მოვახმარო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას. პირობას გაძლევთ, რომ გავამართლებ თქვენს დიდ ნდობას.

**ფოთი.** რუსთაველის № 322 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს **ნინო ამბროსის ასულ ლაკიას.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ფოთის მესამე საშუალო სკოლის პედაგოგმა ვ. შელიამ შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და მოუწოდა ხმა მისცენ ნ. ა. ლაკიას.

დეპუტატობის კანდიდატმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ მაღალ ნდობას.

**ზუგდიდი.** ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის კლუბში ლენინის № 302 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის ძალური კვანძის სამშენებლო სამმართველოს ევირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელს **რაჟიკო სამსონის-ძე დგებუაძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა ზუგდიდის რკინიგზის სადგურის პარტბიუროს მდივანმა ო. ქეჟინაძემ შეკრებილთ გააცნო შესანიშნავი მშრომელის, კომკავშირელის, რ. ს. დგებუაძის ბიოგრაფია და შრომითი საქმიანობა. მოუწოდა მათ ხმა მისცენ დეპუტატობის კანდიდატს.

ნდობით აღჭურვილი პირის მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროფკავშირის გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. მიქავა, ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის უბნის ოსტატი ე. ჩილაჩავა, ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის ინჟინერი ვ. კოვალიოვი, ტრესტ „საქართველოს ჩაის" ზუგდიდის მექანიკური სახელოსნოს დირექტორი ს. ჩიხლაძე, ახალგაზრდა ამომრჩეველი გ. კვარაცხელია და სხვები.

რ. ს. დგებუაძემ მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და აღუთქვა, რომ გაამართლებს ხალხის ნდობას.

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის კლუბში კიროვის № 303 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მქსოველს **ციალა ვალერიანის ასულ კვარაცხელიას.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ამ კომბინატის მექანიკური საამქროს უფროსმა ა. ჯადავამ ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებასა და შრომით საქმიანობაზე, დაახასიათა იგი, როგორც შესანიშნავი მშრომელი, კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეული კანდიდატი. ა. ჯადავამ ამომრჩევლებს მოუწოდა 19 მარტს ერთსულოვნად მისცენ ხმა ც. ვ. კვარაცხელიას.

ნდობით აღჭურვილ პირს მხარი დაუჭირეს კომბინატის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ჩახაიამ, ამ კომბინატის ინჟინერ-კონსტრუქტორმა რ. ფარცვანიამ, მუშამ ე. გულუამ.

ამხანაგების სიტყვებით აღფრთოვანებულმა ც. ვ. კვარაცხელიამ ოლქის ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ გაამართლებს ხალხის რჩეულის საპატიო წოდებას.

(საქინფორმი).

---

## ტურისტული მარშრუტით
## თბილისს ესტუმრნენ [illegible]



[illegible]

**ჩვენს** დედაქალაქში ზნაურის რაიონის მშრომელები თავიანთი შრომითი საჩუქრებით ჩამოვიდნენ: ხუთწლედის პირველ წელს მოპოვებულ იქნა წარმატებები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სასახელოდ შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმები.

მიუხედავად ქირჟიული ამინდისა, ზნაურელმა მხვნელ-მთესველებმა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის წლიური გეგმა 106 პროცენტით გაანაღდეს. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მეცხოველეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის დავალებები.

კეთილმოწყობილია რაიონის ცენტრი.

რაიონში ბევრია სოფლის მეურნეობის მოწინავე. მათ შორის აღსანიშნავია სოფელ ძველეთის კოლმეურნეობის წევრი ქ. პაკიევი, სოფელ ყორნისის კოლმეურნეობის ბრიგადირი ი. თელგაევი, სოფელ წორბისის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი ი. ჯიოევი, სოფელ თიღვის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკი ი. იკაევა, სოფელ ავნევის კოლმეურნეობის ბრიგადირი დ. დურგლიშვილი და სხვები, რომელთა შრომითი მაჩვენებლებით ამაყობს მთელი რაიონი.

ხუთწლედის მეორე წელს ზნაურის რაიონის მშრომელები დიდი ამოცანების წინაშე არიან. ისინი ერთსულოვნად ჩაებნენ საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაწყვეტილი აქვთ სახელმწიფოს მიჰყიდონ 8 ათასი ცენტნერი მარცვლეული, 2.150 ცენტნერი ხორცი, 10 ათასი ცენტნერი რძე, 280 ათასი ცალი კვერცხი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

უფრო გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, კოლმეურნეებმა. სოფელ ავნევის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე რ. სინთურაშვილი) წევრები დადგნენ შრომით ვახტზე და ბეჯითად მუშაობენ იმისათვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 150 ცენტნერი ხილის მოსავალი, წელსვე ააშენონ კლუბი და კოლმეურნეობის კანტორა. ასევე კარგად მუშაობენ პირობის შესასრულებლად თიღვის, ავნევისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

საიუბილეო წელს გათვალისწინებულია რაიონში აშენდეს კულტურის სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი და სხვ.

ყველგან საკოლმეურნეო მინდვრებში ბეჯითი შრომაა გაჩაღებული. ზნაურელი მხვნელ-მთესველები საგაზაფხულო სამუშაოებს ყოველმხრივ მზად შეხვდნენ. საჭირო რაოდენობით არის ყველა სახის კონდიციური თესლი. წელს საგაზაფხულო კულტურები ძირითადად მზრალზე დაითესება. მექანიზატორები უკვე გავიდნენ მინდვრად და ახალშეკეთებული ტრაქტორებით საგულდაგულოდ ამუშავებენ ნიადაგს. მათ გადაწყვიტეს საგაზაფხულო თესვა დაამთავრონ აგროვადებში მაღალხარისხოვნად, საიუბილეო წელი გადააქციონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის წლიწადად.

**რ. გათიკოევი,**
საქართველოს კპ ზნაურის რაიკომის მეორე მდივანი.

---

# საერთაშორისო ცხოვრება

### მთავარი პრიზი — საბჭოთა სურათებს

**რომი,** 6 მარტი. (საქინფორმი). კორტინა დ' ამპეცოში დამთავრდა სპორტული ფილმების 23-ე საერთაშორისო კონკურსი, რომელზეც მთავარი პრიზი მიანიჭეს საბჭოთა კავშირს.

იტალიის ტურიზმის, სპორტისა და სანახაობით დაწესებულებათა მინისტრმა ა. კორონამ საბჭოთა დელეგაციას გადასცა სამინისტროს თასი „კონკურსის" მონაწილე ფილმებს საუკეთესო შერჩევისათვის" („ადამიანები ღრუბლებს ზემოთ", „დისკო", „ტანმოვარჯიშე", „სამბო", „ლიდერები სტარტის წინ" და „როცა ორმოცი წლისაზე უხნესი ვართ").

### „ბრძოლა გზაში" — საფრანგეთის რადიოთი

**პარიზი,** 6 მარტი. (საქინფორმი). საფრანგეთის რადიომ მოამზადა რადიოდადგმა გალინა ნიკოლაევას რომანის მიხედვით „ბრძოლა გზაში". დადგმის პირველი ნაწილი, რომელიც ფრანგ მსახიობთა დიდმა ჯგუფმა განახორციელა ჟანა როლენ-ვეისის ხელმძღვანელობით, დღეს გადაიცა რადიოთი.

## პირველი ტურის შედეგები

### საფრანგეთის პარლამენტის არჩევნები

**პარიზი,** 6 მარტი. საქინფორმის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება:

აქ გამოქვეყნებული მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ საშუალებას გვაძლევენ გამოვიტანოთ დასკვნები საფრანგეთში პოლიტიკურ ძალთა განაწილების შესახებ.

კომუნისტური პარტიის კანდიდატებს ხმა მისცა 5.029.808 ამომრჩეველმა — 1.026.000-ით მეტმა, ვიდრე ეროვნული კრების 1962 წლის არჩევნების პირველ ტურში. საფრანგეთის კომპარტიამ წინ წაიწია აგრეთვე პროცენტულად, მოაგროვა მიცემული ხმების 22,46 პროცენტი (ნაცვლად 1962 წლის 21,83 პროცენტისა).

არჩევნების შედეგებმა დაადასტურა, რომ კომუნისტური პარტია საფრანგეთის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი მემარცხენე პარტიაა.

დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციამ ამ არჩევნებში მოაგროვა 478 ათასი ხმით მეტი, ვიდრე წარსულ არჩევნებში მიიღო ამჟამად ფედერაციაში შემავალმა ყველა პარტიამ, რომლებიც მაშინ დამოუკიდებლად გამოდიოდნენ. გაერთიანებული სოციალისტური პარტიის კანდიდატებს და სხვა მემარცხენე კანდიდატებს ხმა მისცა 79 ათასით მეტმა ამომრჩეველმა, ვიდრე 1962 წელს.

ამრიგად, ყველა მემარცხენე პარტიამ ერთად ამ არჩევნების პირველ ტურში მიიღო 1.583.000 ხმით მეტი, ვიდრე 1962 წლის არჩევნების პირველ ტურში. სულ მათ მოაგროვეს მიცემული ხმების 43,51 პროცენტი.

არჩევნების პირველი ტურის შედეგად ყველაზე მეტად წაგებული აღმოჩნდა „დემოკრატიული ცენტრი" — მემარჯვენე პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გამოვიდა ლოზუნგებით „საფრანგეთის დაბრუნებისათვის ნატოში" და „ევროპის შეერთებული შტატებისათვის". 600 კანდიდატს შორის, რომლებმაც პირველ ტურში ვერ მოაგროვეს ხმების 10 პროცენტი და დაკარგეს მეორე ტურის ბრძოლაში შემდგომი მონაწილეობის უფლება, ყველაზე მეტია (150 კაცზე მეტი) ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი. სულ არჩევნებში „დემოკრატიული ცენტრის" კანდიდატებმა მოაგროვეს ხმების მხოლოდ 12.79 პროცენტი — გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე წარსულ არჩევნებში მოაგროვეს ამავე კანდიდატებმა, რომლებიც მაშინ სხვა პოლიტიკური აზრებით გამოდიოდნენ.

რაც შეეხება მმართველ პარტიას ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირს — შრომის დემოკრატიულ კავშირს და მის მოკავშირეებს, მათ მოაგროვეს 8.453.512 ხმა, რაც ხმების აბსოლუტური რაოდენობით მეტია, ვიდრე 1962 წლის არჩევნებში. მაგრამ ისინი რამდენადმე ჩამორჩნენ პროცენტულად (37,75 პროცენტი ახლანდელ არჩევნებში, ნაცვლად 37,87 პროცენტისა 1962 წელს). არჩევნების საბოლოო შედეგები და ადგილების ზუსტი განაწილება პარლამენტში გამოირკვევა მხოლოდ მეორე ტურის შემდეგ, რომელიც დანიშნულია 12 მარტს და, რომელშიც არჩევისათვის საკმარისია კანდიდატმა მოაგროვოს ხმების შედარებითი უმრავლესობა. ამ ტურის წინ პარტიებს განზრახული აქვთ შეუთანხმდნენ ერთმანეთს ამა თუ იმ ოლქში საერთო კანდიდატების დასახელების შესახებ.

დღეს დაიწყო მემარცხენე პარტიათა წარმომადგენლების მოლაპარაკება. იმ შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებიც ჯერ კიდევ არჩევნებამდე დაიდო დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციას, გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიასა და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას შორის, ყველა ოლქში, სადაც მემარცხენეებს გამარჯვების შანსი აქვთ, მეორე ტურში კენჭს იყრის საერთო კანდიდატი.

### გაუშვეს „ვესტა"

**პარიზი,** 6 მარტი. (საქინფორმი). ფრანგმა მეცნიერებმა ალჟირის კოსმოდრომიდან გასაშვებად მოამზადეს რაკეტა „ვესტა", რომელშიც მაიმუნია. რაკეტის გაშვება, რომელიც დღეისათვის იყო დანიშნული, ხვალისთვის გადაიდო ძლიერი ქარის გამო, რომელიც საჰარაში ქრის.

**პარიზი,** 7 მარტი. (საქინფორმი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება: დღეს ალჟირის კოსმოდრომიდან გაუშვეს რაკეტა „ვესტა", რომელშიც მაიმუნია. რაკეტა 220 კილომეტრზე ავა. ექსპერიმენტის მიზანია შეისწავლონ ცოცხალი არსების ქცევა უწონობის პირობებში.

### ლ. ჯონსონის წერილი კონგრესისადმი

**ვაშინგტონი,** 7 მარტი. (საქინფორმი). ვიეტნამის ომისა და მთელ მსოფლიოში გაფანტული ამერიკის სამხედრო ბაზებისათვის საჭიროა ჯარისკაცთა უდიდესი რაოდენობა. ამით აიხსნება, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალების რიცხვი გარკვეულად იზრდება. „კორეის ომის დამთავრებიდან იმ დრომდე, სანამ დავიწყებდით სამხედრო ძალის გადიდებას ვიეტნამში, ჩვენს შეიარაღებულ ძალებში საშუალოდ იყო 2,7 მილიონი კაცი. ხოლო ამჟამად — აღნიშნავს პრეზიდენტი ჯონსონი, — ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში მსახურობს 3 მილიონი კაცი, და მათი რიცხვი კიდევ უფრო გადიდდება 1968 წლის იგნისისათვის, თუ მანამდე ომი არ დამთავრდა".

შეერთებული შტატების არმიაში გაწვევის სისტემას სოციალური და რასობრივი უსამართლობის კვალი აჩნევია. ომის ტვირთი მხრებზე აწევს უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის ღარიბ ფენებსა და ზანგებს და ეს ფართო უკმაყოფილებას იწვევს ქვეყანაში.

პრეზიდენტი ჯონსონი იძულებული იყო გაწვევის ახლანდელი სისტემის შესამოწმებლად დაენიშნა სპეციალური კომისია, რომელმაც დაადასტურა უთანასწორობის არსებობა ამ სისტემაში.

აღნიშნული კომისიის დასკვნების საფუძველზე ლ. ჯონსონმა სთხოვა კონგრესს განახორციელოს შერჩევითი გაწვევის სისტემის ფართო რეფორმა. კერძოდ, პრეზიდენტს განზრახული აქვს გააუქმოს სტუდენტთა განთავისუფლება არმიაში გაწვევისაგან. პირველ რიგში გაიწვევენ ახალგაზრდა ამერიკელებს, რომლებსაც 19 წელი შეუსრულდათ.

### ხანძარი საიგონში

**ნიუ-იორკი,** 7 მარტი. (საქინფორმი). დღეს საიგონის გარეუბანში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც 1.000-ზე მეტი სახლი გაანადგურა ჭურღმულების რაიონში, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი. არის მსხვერპლი. უსახლკაროდ დარჩა 10.000-მდე კაცი.

## ჩინეთის ამბები

**ჩინეთის** პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრება სულ უფრო ექვემდებარება სამხედრო კონტროლს. არმია კონტროლს უწევს ბევრ სახელმწიფო დაწესებულებას, სამრეწველო საწარმოს, გაზეთების რედაქციებს, რადიოს, ფოსტასა და ტელეგრაფს. სამხედროები ხელმძღვანელობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რადგან, როგორც პროვინციული პრესა აღნიშნავს, სახალხო კომუნებისა და საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელობა მთელ რიგ შემთხვევებში „მოშლილი" აღმოჩნდა.

ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, რომ სამხედრო ოლქების სარდლობა პროვინციებში მართავს რეგიონალურ თათბირებს საგაზაფხულო თესვის ორგანიზაციის საკითხებზე.

როგორც ჩინეთის პრესა აღიარებს, ამ ბოლო დროს არმიას სულ უფრო ფართოდ იყენებენ იმ ორგანიზაციების დასათრგუნავად, რომლებიც ოპოზიციაში უდგანან ახლანდელ რეჟიმს.

სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ და საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოებმა, იუწყება გაზეთი „ცინხაი ჟიბაო", დამსჯელი ოპერაციები მოაწყვეს „წითელი დაცვის მებრძოლი რაზმის" — იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელიც მაო ძე-დუნისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ორგანიზაციის წევრები „აპატიმრებდნენ და სცემდნენ ძაოფანებს", „თავს ესხმოდნენ პროვინციის ხუნვეიბინთა მთავარ შტაბს". დამსჯელი ოპერაციების მსვლელობაში ხელთ იგდეს სასროლი იარაღი და საომარი მასალა. „დანაშაულებრივსა და კონტრრევოლუციურს" უწოდებს რა ამ ორგანიზაციას, „ცინჰაი ჟიბაო" ამავე დროს აღიარებს, რომ აღნიშნულ ორგანიზაციაში „მონაწილეობდნენ ფართო მასები".

2 მარტს „ხუბეი ჟიბაო" იუწყებოდა, რომ უხანში დაარბიეს „შეთქმულ მეამბოხეთა კონტრრევოლუციური ჯგუფი". ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო მის ბევრ წევრს — სხვადასხვა ვადით პატიმრობა.

როგორც გაზეთი „სიძან ჟიბაოს" ცნობებიდან ჩანს, ტიბეტში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. აქ მაოს მოწინააღმდეგენი, როგორც გაზეთი წერს, „სხვადასხვა შეთქმულებას აწყობენ და ვერაგულ გეგმებს ადგენენ, ცდილობენ გახრწნან რევოლუციურ ძაოფანთა რიგები". ტიბეტში, აღნიშნავს ეს გაზეთი, „წარმოებს უაღრესად სასტიკი ბრძოლა, ამოცანები უაღრესად ძნელია, ხოლო წინააღმდეგობის ძალები უაღრესად დიდია".

ხუნვეიბინებმა სასტიკად გააკრიტიკეს უხუცესი ჩინელი კომუნისტი, ჩინეთის კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი დუნ ბი-უ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილესა და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს დუნ ბი-უს ბრალად სდებენ დანაშაულობებს „დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუციის" წინააღმდეგ. გაზეთი „შოუდუ ხუნვეიბინი" წერს, რომ დუნ ბი-უმ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან და ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ტაო ჯუსთან ერთად სამხრეთ პროვინცია გუანდუნში შექმნა ხუნვეიბინთა „კონტრრევოლუციური" ორგანიზაცია სახელწოდებით „უამირის დამმუშავებელი პოლკი" და ცდილობდა ებრძოლა „კულტურული რევოლუციის" წინააღმდეგ. (საქინფორმი, 6 მარტი).

## მდგომარეობა ინდონეზიაში

**ჯაკარტა,** 6 მარტი. (საქინფორმი). დროებითი სახალხო საკონსულტაციო კონგრესის საგანგებო სესია, რომლის მონაწილეებმა უნდა გადაწყვიტონ პრეზიდენტ სუკარნოს ბედი, ხვალ იხსნება დაძაბულ ატმოსფეროში. აღმოსავლეთი და ცენტრალური იავის ბევრი რაიონიდან მოდის ცნობები, რომ შეტაკებანი ხდება სუკარნოსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის.

თვით ჯაკარტაში სამხედრო გარნიზონის ჯარები საბრძოლოდ არიან გამზადებული. ჯაკარტის ქუჩებში სტადიონის გარშემო, სადაც მოეწყობა კონგრესის საგანგებო სესია, განლაგებულია საზენიტო ქვემეხები.

სუკარნოს მოწინააღმდეგენი — უკიდურესი მემარჯვენე ელემენტები — ამტკიცებენ, რომ განახორციელებენ სასტიკ ღონისძიებებს, თუ სესიის მონაწილენი არ მოხსნიან სუკარნოს პრეზიდენტის პოსტიდან და სამართალში არ მისცემენ მას.

დასავლეთ იავაში „სილივანგის" დივიზიის სარდალმა გენერალ-მაიორმა დარსონომ განაცხადა: ჩემი დივიზია მზადაა „დაამსხვრიოს ძველი წესწყობილების უკანასკნელი ბურჯი, როგორიც ყოველთვის იყო სუკარნო".

სუკარნოს მომხრენი აგრეთვე თავს უყრიან ძალებს. სამხედრო-საჰაერო ძალების მობილური ქვეგანაყოფები, რომლებიც სუკარნოს მხარეზე არიან, 27 თებერვლიდან სურაბაიაში დიდ მანევრებს აწარმოებენ. განზრახულია ეს მანევრები 10 მარტს დაამთავრონ.

ასეთ სიტუაციაში გენერალმა სუხარტომ მოუწოდა პარლამენტის წევრებს, რომლებიც კონგრესის წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ, არ გააღრმავონ ინდონეზიაში შექმნილი ახლანდელი კრიზისი.

**ჯაკარტა,** 7 მარტი. (საქინფორმი). დღეს დილით აქ გაიხსნა დროებითი სახალხო საკონსულტაციო კონგრესის სესია, რომელიც განიხილავს პრეზიდენტ სუკარნოს მდგომარეობის საკითხს. სესიაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა კონგრესის თავმჯდომარემ გენერალმა ნასუტიონმა. დარბაზში, სადაც სესია მიმდინარეობს, კონგრესის 651 წევრის გარდა არიან მინისტრთა კაბინეტის წევრები კაბინეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის გენერალ სუხარტოს მეთაურობით.

პრეზიდენტი სუკარნო სხდომას არ დასწრებია.

---

„ლუმანიტე-დიმანშის" ფურცლებიდან

# 8 მარტი





1857 წლის 8 მარტს ნიუ-იორკის მცხოვრებნი გაოცა უჩვეულო სანახაობამ: ქალაქის ქუჩებში ქალთა კოლონები მიდიოდნენ. მათ მიჰქონდათ პლაკატები, რომლებზეც ეწერა მოთხოვნა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და მამაკაცებთან უფლებებში გათანასწორების შესახებ. ეს იყო პირველი გამოსვლა მუშა ქალებისა — მკერავებისა და ფეიქრებისა, რომლებიც დღეში თექვსმეტ საათს მუშაობდნენ და ძალიან მცირე ხელფასს იღებდნენ.

პოლიცია სასტიკად გაუსწორდა დემონსტრანტებს, რამდენიმე ქალი გათელეს, ბევრი დააპატიმრეს... მაგრამ სამი წლის შემდეგ მათ დააარსეს თავიანთი პირველი პროფკავშირი და მშრომელთა ეროვნულ კავშირში შევიდნენ. (სურათი 1).

1865 წელს შეერთებულ შტატებში სხვა ბრძოლა იწყება: ელიზაბეტ მილერი, ლუსი სტოუნი, სიუზან ენტონი, ეყრდნობიან რა დამოუკიდებლობის დეკლარაციას, იწყებენ კამპანიას იმისათვის, რომ ქალებს პოლიტიკური უფლებები მიენიჭოთ. ბევრი ქალი იცვამს კოსტიუმ „ბლუმერს" (იგი შემოიღო ჟურნალისტმა ამელია ბლუმერმა), რომელიც შედგება მუხლებამდე ქვედატანისა და კოჭებთან შეკრული შარვლისაგან. კოსტიუმმა სკანდალი გამოიწვია, მაგრამ საზოგადოებრიობას ყურადღება მიაპყრობინა ქალთა მოძრაობისადმი. 1869 წელს ამ მოძრაობამ დიდ წარმატებას მიაღწია: ვაიომინგის შტატმა ქალები „მოქალაქეებად" ცნო და მათ ხმის მიცემის უფლება მიანიჭა. (სურათი მე-2).

ასეთივე ბრძოლა გაჩაღდა საფრანგეთში — მეორე და მესამე რესპუბლიკის წლებში, — ინგლისში, გერმანიაში, რუსეთში... ქალები ყველგან მოითხოვენ მუშა ქალებისათვის სამართლიან ხელფასს, ქალიშვილებისათვის ლიცეუმების გახსნას, მათს დაშვებას უმაღლეს სასწავლებლებში, პოლიტიკურ უფლებათა მინიჭებას. 1899 წელს მათ თავი მოიყარეს ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ომის წინააღმდეგ გაიმართა. ხოლო 1910 წელს სოციალისტი ქალების საერთაშორისო კონფერენციაზე კოპენჰაგენში კლარა ცეტკინმა, დაუდგრომელმა გერმანელმა ქალმა, რომელსაც გერმანიის კაიზერ ვილჰელმ II „იმპერიის ყველაზე საშიშ ჯადოსანს" უწოდებდა, გააკეთა ქალთა მოძრაობის მიერ განვლილი გზის მიმოხილვა და წინადადება შეიტანა 8 მარტი გამოცხადებულიყო მუშა ქალთა საერთაშორისო დღედ ნიუ-იორკის მშრომელ ქალთა პირველი გამოსვლის სამახსოვროდ. (სურათი მე-3).

1911 წელს ამერიკასა და ინგლისში აღინიშნა ქალთა დღე. ორი წლის შემდეგ რუსმა ქალებმა, პოლიციელთა სროლის მიუხედავად, პეტერბურგში მოაწყეს სვლა ლოზუნგით: „ძირს შიმშილი! ძირს ომი". ისინი მოითხოვენ ქალის ეკონომიურ და პოლიტიკურ განთავისუფლებას. 1914 წელს ფრანგმა ქალებმა დემონსტრაციები მოაწყეს პარიზის ქუჩებში.

ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც სსრ კავშირის მშრომელი ქალი მამაკაცის თანასწორუფლებიანი გახადა, კაცობრიობის ისტორიაში პირველად გადაჭრა ქალთა საკითხი. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპაში ფართოვდება ქალთა და პაციფისტური მოძრაობა. 1923 წლის 11 მარტს „მიუტიუალიტეს" დარბაზში გაიმართა მიტინგი, რომელსაც ორი ათასი პარიზელი ქალი ესწრებოდა. (სურათი მე-4).

1940-1945 წლები. ჰიტლერელთა ჯარების მიერ ოკუპირებულ ყველა ქვეყანაში, აგრეთვე გერმანიაში, ქალები იბრძვიან ფაშიზმის წინააღმდეგ, იღუპებიან ჯალათების ტყვიებისა და ცულებისაგან, იტანჯებიან საკონცენტრაციო ბანაკებში... როცა განთავისუფლების დღე დადგა, ისინი გაერთიანდნენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციად, რათა დაეცვათ თავიანთი უფლებები, თავისუფლება, მშვიდობა.

ამ დროიდან 8 მარტის დღე ყოველწლიურად აღინიშნება ყველა ქვეყანაში. ქალთა მანიფესტაციები მიმართულია ატომური ბომბის გამოყენების წინააღმდეგ, ინდოჩინეთში, კორეაში, ალჟირში ომების წინააღმდეგ, გერმანელ მილიტარისტთა ხელახალი შეიარაღების წინააღმდეგ, ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ... (სურათი მე-5).

წელს რვა მარტის დღე მიმდინარეობს ლოზუნგით: „მშვიდობა ვიეტნამს!" მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალები სოლიდარობას, მხურვალე მხარდაჭერას უცხადებენ გმირ ვიეტნამელ ქალებს, რომლებიც თავიანთ ქმრებთან, ძმებთან, მამებთან ერთად იბრძვიან ამერიკელი ინტერვენტებისა და მათი სატელიტების წინააღმდეგ. 8 მარტის დღე, ისევე როგორც წინა წლებში, აღინიშნება როგორც მტკიცე მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ქალთა სრული თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში პროგრესულ ქალთა გაერთიანების დღე. (სურათი მე-6).

ტექსტი მწერალი ქალის ჟ. ციგლერისა,
მხატვარი კარდონი.

---

# ერთი დღის მატრიარქატი

8 მარტი განუყოფლად ეკუთვნის ქალებს. ეს აქსიომაა. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ პატარა სოფელ მონოკლისიაში, რომელიც ჩრდილოეთ საბერძნეთში ქალაქ სერასიდან რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს, ქალთა თავისებურ დღეს იანვარში დღესასწაულობენ. თუმცაღა, სიტყვა „დღესასწაულობენ" ამას ვერ გამოხატავს. ამ დღეს სოფელში ნამდვილი მატრიარქატი მყარდება. ასეთია საინტერესო ჩვეულება, რომელსაც ფესვები შორეულ წარსულში აქვს. ამ ჩვეულებას საბერძნეთში „ქალთაკრატიას" უწოდებენ.

ყოველ წელს მონოკლისიის ქალები ერთ დღეს მოვალეობას უცვლიან მამაკაცებს. ტოვებენ მათ შინ, სადაც მამაკაცები ბავშვებს უვლიან და მთელ საოჯახო სამუშაოს ასრულებენ, ქალები კი „ერთი დღეღამის მატრიარქატით" ტკბებიან. ამ დღეს საბერძნეთის გაზეთები სავსეა ფოტოსურათებით: ერთი მამაკაცი გობში თეთრეულს რეცხავს, მეორე — ბავშვს არწევს, მესამე — სადილს ამზადებს... ქალები? ისინი მხიარულობენ! აი ფოტოსურათი, რომელიც გადაღებულია ყავახანაში: ქალები სხედან, ღვინოს შეექცევიან, შაშს თამაშობენ, მღერიან, ფერხულს აბამენ...

ქალები ეგებებიან სტუმრებს და ტრადიციის თანახმად წყალს ასხამენ მათ, ხარკს ახდევინებენ ფულით. ამ დღეს მოედანზე გამოდის მოძრაობის მარეგულირებელი ქალი, რომელსაც ტრადიციულ თავშალს ზემოთ პოლიციელის ქუდი ახურავს.

ჩვეულება, რომელსაც მხოლოდ ამ სოფელში იცავენ, დიდიხანია იპყრობს ფოლკლორისტთა, ისტორიკოსთა და სხვა მეცნიერთა ყურადღებას. წეს-ჩვეულებანი, სიმღერები, ცეკვები, რომლებსაც ქალები თავიანთი „თავისუფლების" დღეს ასრულებენ, თაობიდან თაობაზე გადადის. სოფელში ძლიერი ორგანიზაციაც არსებობს — ქალთა საზოგადოება, რომელსაც სათავეში უდგას საბჭო.

უკანასკნელ წლებში „ქალთაკრატიით" დაინტერესდნენ დიდი გაზეთების კორესპონდენტები. მათ ძალიან სურთ ამოხსნან საიდუმლოება, რომლითაც მოცულია ქალთა სალამოს „სეირნობა". ამ სეირნობაზე მამაკაცების შესვლა სასტიკად აკრძალულია. ამბობენ, რომ ამ ძველი საიდუმლოების დაცვას ფიცით კისრულობს თვითეული ქალი. არც ერთმა მამაკაცმა, არც ერთმა გარეშემ დღემდე არ იცის სალამოს დღესასწაულის წმიდათა-წმიდა საიდუმლოება. მართალია, ერთხელ ორმა ბერძენმა მსახიობმა ბებერი გლეხი ქალების გრიმი გაიკეთა და სცადა „წმიდათაწმიდაში" შეეღწია, მაგრამ ქალებმა ეს თაღლითები კუდამოძუებული გამორეკეს.

ძველი საიდუმლოების ამოხსნისათვის მხოლოდ ერთი პატარა გასაღები არსებობს. გაზეთ „სალონიკის" კორესპონდენტთან საუბარში ქალებმა განაცხადეს: მათ სურთ მამა-პაპური ჩვეულებით მინიჭებული თავიანთი უფლებები მთელი გლეხური თემისათვის სასარგებლო საქმეებზე გამოიყენონ. მათ აღელვებს ისეთი საკითხები, როგორიც არის სკოლის რემონტი, სოფლად მასწავლებლების ნაკლებობა, გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. აქვე უნდა ითქვას, რომ ხანგრძლივი დავიდარებისა და პეტიციების შემდეგ მათ მოახერხეს დაეწყოთ ქალთა კლუბის მშენებლობა. ამ კლუბში განზრახულია მოეწყოს ხელსაქმის გამოფენა, ფილმების დემონსტრაცია. ქალთა საზოგადოება შეფობას უწევს თავშესაფარსა და ღრმად მოხუცთა სახლს ქალაქ სერასში.

„მატრიარქატის დღეს" მონოკლისიაში ბევრი ტურისტი ჩამოდის, მათ ძველებური ჩვეულების „ეგზოტიკა" იზიდავს. მაგრამ ამ სოფლის ქალები სრულებითაც არ არიან აღტაცებულნი თავიანთი პოპულარობით. მათ ურჩევნიათ მშვიდობიანად ბატონობდნენ თავიანთ მამაკაცებზე წელიწადში ერთხელ მაინც.

**იანის პაპადოპულოსი.**
ათენი.


კომუნისტი
მე-2 გვერდი. ოთხშაბათი,
8 მარტი, 1967 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სახელოვანი ქალები

# ბურჯი ცხოვრებისა





ეს სურათი გადაღებულია გუშინ თბილისის 62-ე საშუალო სკოლაში. 8 მარტის წინა დღეს მოსწავლეები ულოცავენ ქალთა დღესასწაულს თავიანთ საყვარელ მასწავლებელს, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს ეკატერინე კაპანაძეს, რომელიც დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ფოტო ს. კილაძისა.

## სოფლის წინამძღოლი

სოფელს ყორნისფერი ნისლი ებურა. გლეხკაცი, ოცნებობდა, ფიქრობდა, შრომობდა, როგორც იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ სარჩო მაინც არ ჰყოფნიდა. მოსახლეობას მრავალი სნეულება ტანჯავდა, მაგრამ მალარია მაინც ყველაზე მეტად მუსრავდა.

— ფეხი მოვიტეხე, მეორე თვეა ვწევარ. ცოლშვილი მალარიით არის დაავადებული. წამლის ფული არა გვაქვს, შიმშილით ვიხოცებით სასოებით მოგმართავთ თხოვნით — დამეხმაროთ.

წყალობა წყალობაძის განცხადებას დადებული აქვს საუფლისწულო მამულის მმართველის მარკოზის რეზოლუცია: „დახმარება საჭირო არ არის. ვისაც როგორც ეცხოვრება ისე იცხოვროს. უარი ეთქვას“.

ზიზი ხოლუაშვილმა სამოცი წლის წინანდელი სიავის მაუწყებელი ეს და სხვა ფურცლები გვერდზე გადადო, თვალზე სიხარულის ცრემლი მოიწმინდა და დაფიქრდა. მშობლიური სოფლის დღევანდელი თუ ხვალინდელი დღე თვალწინ დაუდგა. ცხოვრება დიადი ოქტომბრის მზით გაკაშკაშებული გზით წავიდა. ნაფარეულში ახლა კეთილი თვალი ბევრ კარგსა და სასიხარულოს ნახავს.

ქოხმახები ლამაზმა ორსართულიანმა სახლებმა შეცვალა. სოფელი ელექტროსინათლით არის გაჩირაღდნებული, რადიო ყველა ოჯახშია. ეკალ-ბარდით დაფარული დატალახიანებული ორღობეები ფართო და სწორმა გზებმა შეცვალა. კლუბი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, საშუალო სკოლა, ორი სასადილო, ოთხი მაღაზია, ფოსტა; ღვინისა და ეთერზეთების უზარმაზარი ქარხნები, თვალუწვდენი ზვრები. ძნელია ჩამოთვალო ყველაფერი, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაკეთდა და კეთდება.

კარგია, მაგრამ უკეთესი უნდა იყოს. რატომ უნდა სჯობდეს ნაფარეულს წინანდალი, აკურა, რუისპირი? — თქვა თავისთვის ხოლუაშვილმა და გასაკეთებელი ქაღალდზე ჩამოწერა. გასაკეთებელი ბევრი, ძალიან ბევრი აღმოჩნდა.

სასოფლო საბჭოს შენობა, სოფლის ცენტრში რომ დგას, უჯიმოვნო და მოძველებულია. ეზო სოფლის ნახირის სათარეშოდ არის გადაქცეული. კლუბი არის, მაგრამ პატარაა. როცა საქმეა, მოსახლეობის მეხუთედსაც ვერ იტევს. მაღაზიები, საპარიკმახერო, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის სახელოსნოები შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული. საავადმყოფო 15-საწოლიანია და სასოფლო საბჭოში შემავალ გაბზირთელა სოფლებს ვერ სწვდება. თანაც სასწრაფო დახმარების ავტომანქანა არ გააჩნია. ავტობუსები ხშირად მიდიან-მოდიან, მაგრამ მგზავრებს თოვლსა და წვიმაში ცისქვეშ უხდებათ დგომა. სკოლის შენობა პატარაა, მეცადინეობა ორ ცვლად წარმოებს.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ სხვაც ბევრი გასაკეთებელი საქმე აღნიშნა, მოქმედების გეგმა შეიმუშავა და აქტივის კრება დანიშნა. მევენახეობისა და ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, სპეციალისტებმა, კოოპერაციის მესვეურებმა, სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა წინამძღოლის ჩანაფიქრი მოიწონეს და სოფლის გამშვენიერების საქმეში მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვეს.

აქტივს მთელი სოფელი გაჰყვა. პირველ რიგში მთავარი გზის გამშვენიერება დაიწყო. ქვის ყორეები მოშალეს და ეზოებს ლამაზი ღობეები გაუკეთეს. გზის გაყოლებით ჩამდინარე წყალი ბეტონის არტახებში მოაქციეს. გზის სანაპირო მწვანე ნარგავებით დამშვენდა. ახლა სასოფლო საბჭოს შენობის რეკონსტრუქცია დაიწყო. სოფლის ირგვლივ დიდძალი ტყეებია და მასალის დამზადება არ გაუჭირდებათ, ახლომახლო ქვა-ქვიშაც ბევრია და მიზიდეს, აგური და ცემენტი შეიძინეს. მ. ყვარელაშვილმა, ს. ქიტაშვილმა, მ. საბანაძემ, მ. ხომიძურმა თუ სხვებმა საბჭოს შენობა გაადიდეს, პარკეტი დააგეს, კიბეები მოზაიკით მოაპირკეთეს. აქტივისტებმა ეზო მავთულის ბადით შემოღობეს და ყვავილნარით დაამშვენეს.

ახლა ავტობუსების გაჩერებასთან ჯიხური მოაწყეს. შემდეგ ბაზრის კეთილმოწყობას შეუდგნენ. შემოღობეს და ლამაზი დახლები გამართეს. ერთი წლის მანძილზე ამ და სხვა საქმეებზე შრომითი მონაწილეობით ნაფარეულელებმა ათეულ ათასობით მანეთის საქმეები შეასრულეს.

მაგრამ სკოლის, კულტურის სახლის, საავადმყოფოს აშენება ნაფარეულელთა ძალღონეს აღემატება. ზიზი ფიქრობს, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს. ბოლოს სოფლის ყრილობის მოწვევა გადაწყვიტა. გულის ნადები რაიონის ხელმძღვანელობას გაანდო. ისიც უთხრა, ამას საქართველოს მთავრობასაც ვაცნობებო.

1965 წლის 2 ივლისი. ეს თარიღი ნაფარეულელებს დიდხანს დაამახსოვრდებათ. კლუბში კი არა, ხალხი ეზოშიც არ დაეტია. ზიზი ხოლუაშვილი სოფლის ყრილობას გახსნილად აცხადებს. საპატიო პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ნაფარეულელთა ღირსეული სტუმრები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი შოთა ჭანუყვაძე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზინაიდა კვაჭაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ლევან საყვარელიძე, თელავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მედეა მეზვრიშვილი და სხვები.

მომხსენებელი ვრცლად ლაპარაკობს იმ მუშაობაზე, რასაც ნაფარეულელები სოფლის გამშვენიერებაზე ეწევიან. დასახელებულ იქნენ ამ საქმის მოთავენი და აქტივისტები, რომლებიც ძალღონის დაუზოგავად მუშაობენ.

— მაგრამ, — ამბობს მომხსენებელი, — ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრია გასაკეთებელი. არსებული სკოლა, საავადმყოფო, კლუბი თუ სხვა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. აშენება ჩვენს ძალებს აღემატება. დახმარება გვჭირდება.

მოხსენების გარშემო ცხოველი კამათი გაიმართა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან მუშები, მასწავლებლები, ექიმები. ყველა აღფრთოვანებით ლაპარაკობს იმ მუშაობაზე, რასაც სასოფლო საბჭოს აღმასკომში, სოფლის მთელი აქტივი ეწევა. აქვე აყენებენ წინადადებებს, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს ნაფარეულში.

ყრილობაზე სიტყვით წარმოთქვეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ. ყრილობამ ნაფარეულის მომავლისათვის ვრცელი რეზოლუცია მიიღო.

მას შემდეგ სოფლის წინამძღოლს ბევრი უძილო ღამე გაუთევია. დღეა თუ ღამე, დილაა თუ საღამო, მშენებლებთან ტრიალებს. საშუალო სკოლის შენობა, ხუთასადგილიანი კულტურის სახლი, საბავშვო ბაღი, მოსახლეობის მომსახურების საყოფაცხოვრებო კომბინატი, მუშათა საცხოვრებელი სახლები. ბევრი რამ არის აქ ხარაჩოებში და ყველას მიხედვა, დაჩქარება სჭირდება. ზიზი ხოლუაშვილი ძალღონეს არ იშურებს, საშუშაოს არ უშინდება. თავმჯდომარე ხარობს იმით, რომ ყრილობის ჩანაფიქრს ფრთები ესხმება. ნაფარეული დაამშვენა სავაჭრო და გაზეთის ლამაზმა კიოსკებმა, აფთიაქი ახლებურად მოეწყო, საავადმყოფო 30-საწოლიანი გახდა. სასწრაფო დახმარების მანქანა მიიღეს. დანარჩენიც მალე იქნება.

ამას წინათ ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მრავალრიცხოვანი კოლექტივი წინასაარჩევნო კრებაზე შეიკრიბა. დღის წესრიგში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი იდგა. ერთმა და ორმა კი არა, ყველამ ერთად სოფლის რჩეულად ზიზი ხოლუაშვილი დაასახელა.

ზიზი ხოლუაშვილმა თბილისში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ცაგერის რაიონში მთავარ ზოოტექნიკოსად დაიწყო მუშაობა, შემდეგ თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1954 წელს იგი მშობლიურ თელავის რაიონს დაუბრუნდა და ყვარლისა და კარალის ქარხანაში მთავარ ტექნოლოგად დანიშნეს. მალე პარტიის თელავის რაიკომის ინსტრუქტორად დააწინაურეს. შემდეგ კი სოფელ ნაფარეულს დაუბრუნდა და მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ დაიწყო მუშაობა. 1964 წლის ივლისიდან ზიზი ნაფარეულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. ინიციატივიანი, ენერგიული მუშაკია. ამიტომაც არის, რომ იგი არჩეულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად, პარტიის თელავის რაიკომის პლენუმის წევრად, თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად.

ავირჩიოთ ზიზი უმაღლეს საბჭოში. იგი უფრო ბევრ საქმეს გააკეთებს, ნდობას გაამართლებს. — ასეთია ყველა ჩვენთაგანის აზრი.

ნაფარეულელ მშრომელებს გვწამს და გვჯერა, რომ დეპუტატობის ჩვენი კანდიდატი ღირსეულად გაამართლებს ხალხის ნდობას.

ა. დიღმელიშვილი,
ნაფარეულის სასოფლო საავადმყოფოს გამგე.

ვ. გურიელი,
ნაფარეულის საშუალო სკოლის დირექტორი.

ე. ამბროსიშვილი,
ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

სურათზე: ზიზი ხოლუაშვილი.

## მოწმობენ ფაქტები

△ **1965 წელს** საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული მოსახლეობის 49 პროცენტს ქალები შეადგენდნენ. მრეწველობაში 100-დან 46 ქალია, განათლების ფრონტზე — 71, ჯანმრთელობის დაცვის კერებში — 86.

△ **87 საბჭოთა** კავშირის გმირი — ასე გამოარჩინეს საბჭოთა ქალებმა თავი სამამულო ომის დროს.

△ **შრომითი** წარჩინებისათვის მილიონზე მეტი ქალი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით, ოთხ ათას ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

△ **1897 წელს** ქალთა მხოლოდ 12 პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა. ახლა საბჭოთა კავშირში უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა 60 პროცენტს ქალები შეადგენენ. 1.110 ქალი აკადემიკოსი, წევრ-კორესპონდენტი და პროფესორია, 9.500 — დოცენტი.

△ **1905 წელს** რევოლუციის ბარიკადებზე იდგა 800 კომუნისტი ქალი. ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში 2,5 მილიონზე მეტი ქალია.

△ **საბჭოთა** ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ ორჯერ და უფრო მეტად აღემატება რევოლუციამდელ დონეს.

## • მხიარული კუთხე



პრაქტიკული კაცის საჩუქრები.



— პირზე კოცნით მოგილოცავთ, პატივცემულო დირექტორო!

მხატვარი მ. აბაშიძე.

### ვინ არის ოჯახის უფროსი?

ერთმა ახალგაზრდამ დაქორწინების შემდეგ მამას ჰკითხა: „ვინ უნდა იყოს ოჯახის უფროსი, ქალი თუ კაცი?“ მოხუცმა ჩაიცინა და უპასუხა: „წადი, შვილო, ასი ფრთა ქათამი და რამდენიმე წყვილი ცხენიც თან გაიყოლე, კარიდან კარზე იარე და იკითხე: სად ვინ არის ოჯახის უფროსი, სადაც ქალი იყოს, იქ ქათამი გააჩუქე, სადაც კაცი, იქ ცხენი დატოვე“.

ახალგაზრდა მართლაც ასე მოიქცა. კარიდან კარზე სიარულში მან უკვე ოთხმოცდაცხრამეტი ქათამი დაარიგა. ბოლოს, ერთ სახლს მიადგა. მის კითხვაზე კაცმა უპასუხა:

„ოჯახში მე ვარ უფროსი!“

„რით დაამტკიცებ ამას?“

კაცმა თავის ცოლს დაუძახა. ახალგაზრდის კითხვაზე ცოლმაც უპასუხა, რომ ქმარი იყო ოჯახის უფროსი. „აჰა, მაშ ამოარჩიე ცხენებიდან, რომელიც გინდოდეს“, — მიმართა კაცს ახალგაზრდამ.

„მე ყავისფერი მომწონს“.

მაგრამ ამ დროს ცოლმა ქმარს ფრთხილად მოსწია სახელო და რაღაც წასჩურჩულა, რის შემდეგ კაცმა თქვა: „არა, აი ის თეთრი სჯობს!“

„ეჰე! ახლა ქათამი გერგება!“ — უთხრა ახალგაზრდამ.

გერმანულიდან თარგმნა
ნ. კულუმბეგაშვილმა.

სიცოცხლის ზეიმი! — სალუქასავით გაცვდა ეს სახე თუ ეპითეტი, იმდენჯერ გვიხმარია იგი. მრავალ ჩვენს სასიხარულო განცდას ამ სიტყვებით გამოვხატავთ ხოლმე. გაზაფხულდა, ბუნებამ გამოიღვიძა, — სიცოცხლის ზეიმია; პირველი სპეტაკი თოვლით გადათეთრდა ველ-მინდორი, ქუჩები, ბაღები, და ყველგან ისმის ბავშვების მხიარული ჟივილხივილი, — სიცოცხლის ზეიმია; ავადმყოფობა რამ დავძლიეთ, გამოვჯანსაღდით, — სიცოცხლის ზეიმია; ახალმოსახლეობას ვხარობთ თუ ნანატრი დიდი სპორტული სეზონი დაგვიდგა, — კვლავ სიცოცხლის ზეიმია, და კიდევ ვინ მოთვლის ჩვენს სასიამოვნო შეგრძნებებს, მოვლენებზე ჩვენს ამაღლებულ შეხედულებებს, რომლებსაც მზად ვართ სიცოცხლის ზეიმი ვუწოდოთ.

ეს არც არის გასაკვირველი — სიცოცხლის ზეიმი იქ და მაშინ არის, როდესაც ადამიანი უმაღლეს ბედნიერებას განიცდის. მაგრამ რამდენად ზუსტია ყოველ ამ განცდას ვუწოდოთ სიცოცხლის ზეიმი?! ეს ორი სიტყვა, ჩემი აზრით, ყველაზე ზუსტად გამოხატავს ბუნების ერთ უზენაეს მოვლენას — დაბადებას. ადამიანის შვილი რომ დაიბადება და თავის პაწია სხეულს აამოძრავებს, ტირილით რომ გვამცნობს ამ ქვეყნად თავის მოვლინებას, ტირილით, რომელიც სიცოცხლის დაწყების ნამდვილი ჰიმნია, — აი ეს არის სიცოცხლის ზეიმი.

მე ვიცნობ ერთ ექიმ ქალს — დედასა და ბებიას. ბავშვი (ვგულისხმობ საერთოდ ბავშვს) ვის არ გვიყვარს, მაგრამ ამ ქალის სიყვარული ბავშვისადმი რაღაც განსაკუთრებულია. მასთან ერთმა საუბარმა აღმიძრა სურვილი დამეწერა ეს სტრიქონები. ამ საუბარმა თავად შვილების მამასა და შვილიშვილების ბაბუას რაღაც ახლებურად ამიხილა თვალი, ახლებურად დამაფიქრა ბუნების იმ უდიდეს მოვლენაზე, რასაც დაბადება ჰქვია.

— ადამიანის სიცოცხლეში ყველაზე ლამაზია ბავშვი, ცხოვრებაში ყველაზე დიდი მოვლენაა დაბადება, — ამბობს ეს ქალი. — აი ახლა ვზივარ შინ, რევმატიზმმა შემომიტია, ამინდი რომ წახდა... გულით კი მათთან ვარ, მაგრამ ჯოხითაც არ მინდა გამოვჩნდე იქ, ჩემს საკონსულტაციო პუნქტში, სადაც ყველაზე მეტი სიხარულია, ან სიხარულის მოლოდინია. არადა, რა ვქნა — იქ ჩემი ქალები წვანან, ჩემი პაციენტები, და არ ძალმიძს იმათი პაწიები არა ვნახო, დედები უფრო სძლებენ უიმბავშვებოდ, ვიდრე მე.

საქმე ის არის, რომ ეს ქალი „მესამე შემოქმედია“ იმ საყვარელი „მამუნი“ ბავშვებისა. ლაპარაკია თბილისის მე-3 სამშობიარო სახლთან არსებულ მე-10 ქალთა კონსულტაციის ექიმ-გინეკოლოგ ოლღა ოსიტაშვილ-მჭედლიძეზე. დარწმუნებული ვარ, ამ სახელის ამოკითხვა ბევრს, ძალიან ბევრს სიყვარულით გაუბრწყინებს თვალებს.

ოცდამერვე წელიწადი მიდის, რაც ოლღა ოსიტაშვილი ამ პუნქტში მოღვაწეობს თავის ასევე შესანიშნავ კოლეგებთან ერთად. ოცდარვა წელიწადი ერთ კონსულტაციაში! მანამდე კი იგი თავის მეუღლესთან, ცნობილ ექიმ მიხეილ მჭედლიძესთან ერთად, რომელთანაც 1931 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, დუშეთის რაიონში მუშაობდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო გასულ წელს პატივცემულ ოლღასაგან ოთხი ათასზე მეტ ქალს მიუღია აუცილებელი კონსულტაცია, ადვილი წარმოსადგენია, თავისი სამედიცინო მოღვაწეობის მთელი ოცდათექვსმეტი წლის მანძილზე რამდენ სამსახური გაუწევია ხალხისათვის.

ტყუილად როდი მიწოდებია პატივცემულ ოლღასათვის მრავალი ბავშვის „მესამე შემოქმედი“. მისი ხელისშეწყობა რომ არა, მისი თავდადებული, შეუპოვარი, დაჟინებული გინეკოლოგიური ჩარევა რომ არა, მისი მხრივ ადამიანებისათვის ნამდვილი დედობისა და ბებიობის გაწევა რომ არა, ვინ იცის რამდენი ათასი ბავშვი არც იქნებოდა, რამდენ ასეულ ქალს დედა არ ერქმეოდა!..

— აი, შვილიკო, ოლღა-ბებია! — მოესმის გზად მიმავალ ექიმს ქალის აღფრთოვანებული ხმა.

## უბნის დედა



(ასეთი შეძახილების მოსმენას ჩვეულია ამაგდარი ექიმი).

იმ ქალს, თავის პირმშოს გაზარებულმა რომ მიუთითა „ოლღაბებიაზე“, ქორწინებიდან თორმეტ წელიწადს შვილი არ გასჩენია, დარდისაგან, რომ იტყვიან, ნახევარი ქალი დადიოდა. მაგრამ მთელ ათ წელიწადს მას შეუპოვრად მკურნალობდა ექიმი ოლღა ოსიტაშვილი. წლების მანძილზე უშედეგობას გული არ გაუტეხია არც ექიმისა და არც პაციენტისათვის. და აი ბოლოს მაინც გაიხარა ოჯახმა, გაბედნიერდნენ დედა, მამა...

ჩვენი დედაქალაქის ბელინსკის, ხოშტარიას, გოგებაშვილის, ჯავახიშვილის, კალანდაძის, ჯანაშიას და ახლომახლო სხვა ქუჩების მცხოვრებლები კარგად იცნობენ თავიანთ თანაუბნელს, ნამდვილ დედას — ექიმ ოლღა ოსიტაშვილ-მჭედლიძეს. ასობით მადლიერი ადამიანის სიყვარულით გაცისკროვნებული მზერა მიჰყვება ამ დარბაისელ, გულკეთილ დედა-ქალის ყოველ ნაბიჯს.

მკითხველი მომიტევებს, რომ პაციენტთა გვარებს არ ვასახელებ. ჰყავს პატივცემულ ოლღას ერთი პაციენტი — მასწავლებელი ქალი — ტანადი, თვალადი, გულსპეტაკი ადამიანი. სიყვარულით შექმნილი ოჯახი აქვს. შვილი კი აგერ ათ წელზე მეტია არ უჩნდებათ. სამი წელიწადია, რაც მკურნალობა დაიწყო ოლღასთან. არის შედეგი! ოჯახის სიხარულს საზღვარი არა აქვს, მაგრამ ორიოდე თვე გადის, და იმედი იფუშება... კვლავ მკურნალობა, კვლავ მარცხი!.. მაგრამ ჩვენმა ექიმმა ასე იოლად როდი დათმო!.. ექიმმაც და პაციენტმაც გამარჯვება იზეიმეს, — ვაჟი დაიბადა.

— მიშველეთ, ექიმო! — სასოწარკვეთილი ხმით მიმართა ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა ოლღას, როცა ჯერი მის გასინჯვაზე მიდგა, — ეს მეოთხე მეყოლება... აღარ ძალმიძს: ცოლი, ქმარი, სამი შვილი, მშობლები და კიდევ ეს?! ოთახი კი ერთი და ისიც ძალზე პატარა!..

დარდის გამფანტავი ღიმილით მოუსმინა ექიმმა ახალგაზრდა დედას, ყურადღებით გასინჯა, მერე ჩააცქერდა თვალებში და ეუბნება:

— აღარაფერი შემიძლია, შვილო, ბავშვი უკვე დიდია, ბედს უნდა შეურიგდე, ჩემთან კი იარე კონსულტაციაზე...

ოლღა ახლა მე მეუბნება:

— არაფერი დიდი არ იყო ბავშვი, ყველაფერი შეიძლებოდა. მე არ გავაკეთე...

მაგრამ იმ დღიდანვე იწყო ოლღამ თავისი ახალი პაციენტისათვის ზრუნვა, არ დატოვა არც ერთი საფეხური, სადაც კი შეიძლებოდა მისი ახალი პაციენტის მრავალრიცხოვანი ოჯახის ბინით დაკმაყოფილების დაჩქარების საკითხის გადაწყვეტა. ეს ზრუნვა მარტო ამით არ ამოიწურებოდა — საჭირო იყო უმთავრესად მკაცრი კონტროლი დაეწესებინა პაციენტზე. ამ კონტროლში მას უბნის სამეულიც შველოდა (ჰყავს ექიმს უბნებში ასეთი „ქალთა სამეული“). თავად თითქმის ყოველ მესამე დღეს სინჯავდა თავის პაციენტს.

და აბა წარმოიდგინეთ, რა სიხარული უნდა დატრიალებულიყო ოჯახში, როცა პაციენტმა ახალი კომფორტაბელური სამოთახიანი ბინის მიღებაც და მშობიარობაც თითქმის ერთდროულად იზეიმა.

ვინ მოთვლის ასეთ სასიამოვნო ფაქტებს და მაგალითებს ამ ექიმის მოღვაწეობაში. ბევრია მის მიერ ნამკურნალები ისეთი ქალი, რომელსაც ათ წელიწადზე მეტ ხანს შვილი არა ჰყოლია და ახლა შვილებიცა ჰყავს და შვილიშვილებიც. ისეთებიც არიან, მკურნალობის შედეგად მრავალშვილიანებიც რომ გახდნენ.

ახლა პატივცემულ ოლღას საკონსულტაციოდ ოთხმოცდაათი ქალი ჰყავს ერთდროულად. ესენი მისი იმედი და სიხარულია. იგი მათ ბინებზეც აკითხავს, უბანში საუბრებს უმართავს... უბნის დედაა ეს ქალი, როგორც ოჯახის დედაც ხომ სანიმუშოა იგი. შვილები, რძლები, შვილიშვილები... დიდი, შესანიშნავი მშრომელი ოჯახი ექიმებისა, მუსიკოსებისა, ჟურნალისტებისა, მასწავლებლებისა და... ოჯახი მომავლის თაობისა — შვილიშვილებისა.

მადლობა ასეთ ამაგდარ ადამიანს!

ვლ. თორდუა.

## დაე ჰყვაოდეს გაზაფხული



მარიკა ბარათაშვილი,
ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციამ სიამოვნებით მიიღო საპატიო მიწვევა და აი ვხსნით საოჯახო სკივრს და „კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ მცირე ნობათს ჩვენს ჟურნალში დასაბეჭდი მასალებიდან.

ამასთან ერთად ქართული საბჭოთა პრესის ამ მაღალი ტრიბუნით რომ ვსარგებლობთ, ვულოცავთ „კომუნისტის“ მკითხველებს — მთელი საქართველოს ქალებს, ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 8 მარტის დაბადების 57-ე წლისთავს.

57 წელი!

ავყვეთ ამ 57 წლის საფეხურებს, ავმაღლდეთ მსოფლიოს გადასახედზე და თვალი გადავავლოთ განვლილ გზას.

„კაცობრიობა წააგავს კედელზე მიკვრულ ხეს, რომლის მხოლოდ ერთი მხარე იზრდება და ვითარდება“, — ამბობს რომენ როლანი და კაცობრიობის დაბეჩავებულ ნახევარს არ შეეძლო დარჩენილიყო კედელს მიკვრული, მაცოცხლებელ მზესა და ჰაერს მოკლებული, მით უმეტეს, რომ მას გარდა გულისა ჭკუაც ჰქონდა, გონებაც, შემოქმედებითი ძალა და უნარიც.

50 წელი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან — ეს არის წლები ქალთა ახალი საინტერესო სახეების, ახალი ბიოგრაფიების შემოქმედებისა.

დღეს საუკუნეობრივი მონობისაგან განთავისუფლებული ქალი სასწაულებს ახდენს.

მარტო საქართველოში 383 ქალი სოციალისტური შრომის გმირია, 23.282 — ორდენოსანი, და რამდენი შესანიშნავი მეცნიერი სპეციალისტი, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკი, სპორტსმენი! ჩვენს პატარა ქვეყანას თავმოსაწონად ჭადრაკის 2 დედოფალიც ეყოფოდა!

განა საამაყო არ არის, თუ გნებავთ, ამბავი, რომ ერთი გეგეჭკორელი კოლმეურნე ქალის მკერდს ორი დიდი ჯილდო ამშვენებს: „გმირი დედა“ და „სოციალისტური შრომის გმირი“?

საქართველო ამაყობს თავისი შესანიშნავი ქალებით: ხელმძღვანელი მუშაკებით, დეპუტატებით, საზოგადო მოღვაწეებით...

ყოველწლიურად იზრდება ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობა და დანიშნულება. წელთა განმავლობაში 8 მარტი იქცა დიდ, მსოფლიო ტრიბუნად, ადამიანური ღირსებისათვის, პროგრესისათვის, მშვიდობისათვის, ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა რიგების დათვალიერების დღედ და ქალთა დღესასწაულად.

ჩვენს წლევანდელ დღესასწაულს განსაკუთრებულ იერს მატებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

ამ მაღალი ტრიბუნიდან კიდევ და კიდევ ვულოცავ ჩვენს სახელოვან ქალებს დღესასწაულს და ვუსურვებ ბედნიერებას და მრავალ წარმატებას.

გვსურს ჩვენი მილოცვის ხმა მისწვდეს ჩვენს უახლოეს მეზობლებსა და მეგობრებს — საბჭოთა კავშირის დიდი ოჯახის დიასახლისებს.

ჩვენი სოლიდარობა დავუდასტუროთ ჩვენს ვიეტნამელ დებს და ყველას — ადამიანური ღირსებისათვის, პროგრესისათვის, მშვიდობისათვის, სიცოცხლისათვის მებრძოლ ქალთა არმიის ყველა ჯარისკაცს, და ვუსურვოთ დიდი გამარჯვება.

დაე ჰყვაოდეს გაზაფხული, სიცოცხლე და ბედნიერება მთელ მსოფლიოში.

## ჩემო ქვეყანავ!

ლილი ნუცუბიძე

ვგევარ ქარისგან გაწეწილ ტირიფს
და ვაფახულებ ფოთლის წამწამებს,
ხან შუშანიკის ცრემლებით ვტირი,
ხან მათე ბიჭის დარდი მაწვალებს.

მე ვაშლოვნელის ტკივილი ვიგრძენ,
სახრჩობელაზეც ვახლდი ზოიას,
მშობელი მიწის განი და სიგრძე
ჩემი მტკავლით გამიზომია.

ბაღში ვახარე ლამაზი ვარდი,
ტოლებს ლილინით ზვარში ვუყვევი,
ხან მზეს ვემსგავსე, ხან ღრუბელს ვგავდი,
სამშობლო იყო ჩემი სახელი.

სიკვდილი ბევრჯერ შემომედავა
დასანაცრებლად გასცა ეს გული,
შინმოუსვლელი შვილის დედა ვარ
და სატრფო ულელდაცალებული.

არ დავრჩენილვარ დაუდაფნავი,
არა მცხებია შუბლზე ტალახი,
ქერჩთან გამიჭრეს მომცრო საფლავი
და ზედ ბიბინებს ლორთქო ბალახი.

მე ვიყავ მეფე, ვიყავ მხევალიც,
გუთნის დედა და მებრძოლიც ვიყავ,
წუთი რა არის, არც ნახევარი,
არ დამითმია მშობელი მიწა.

როდი შევუკრთი გრიგალთა სისინს,
გვირგვინი მადგას ქორონიკონის,
მე გადავწერე ცრემლით და სისხლით
„ვეფხისტყაოსნის“ ყველა სტრიქონი.

მე დამიშანთეს მკერდი და დამწვეს
რომ გამეყიდა რჯული, მამული.
საუკუნეებს ლეგენდად დარჩეს
ქალის მანდილი და სიყვარული.

გულიდან იმ წლებს როგორ ამოვშლი,
გადანგრეული ფუძე ვაშენე,
მე გამიყიდეს შვილი სტამბოლში
და ძუძუები მტკივა მას შემდეგ...

გამომივლია ტანჯვა რამდენი,
ბალახს რომ ნამავს ჩემი ცრემლია...
მაგრამ ქართველი ქალის მანდილი
არსად, არასდროს შემირცხვენია.

მწარე ნაღველი გადამეყარა,
ვარ მოდარაჯე ამ მზის, ამ დილის,
დღეს შენ გეკუთვნის, ჩემო ქვეყანავ,
ჩემი გულიც და ჩემი მანდილიც!

## საქართველოს ქალი

ჩვენი გაზეთის სტუმარი

მარგო თომაძე

ნოველა

### მუსიკოსი

ყველა ძალიან წუხდა, რომ მას მუსიკაში სამიანი ჰქონდა. დედა დელავდა. ბებია თვალს არიდებდა. მამა ჩაფიქრებულიყო. სასწავლებლის დირექტორი გაჯავრებული.

— უნიჭიერესი გოგონაა, — ამბობდნენ მასწავლებლები, და ეს სამიანი... ლაქასავით ეცხო გულზე ყველას.

— ბოლოს და ბოლოს როდემდის უნდა უწეროთ სამიანი ასეთ შესანიშნავ მოსწავლეს? — მიმართა დირექტორმა მის მუსიკის მასწავლებლებს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

— ვიდრე ისე არ დაუკრავს, როგორც მას შეუძლია, — მოკლედ მოუჭრა მასწავლებელმა.

— რა მიყვარს მე ყველაფერზე უფრო მეტად? — ჰკითხა მეორე დღეს გაკვეთილზე მასწავლებელმა გოგონას. გოგონამ თვალები დახარა, ბაგე ოდნავ გახსნა და თითქმის უხმოდ, ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— არ ვიცი.

— თვით ღმერთსაც არ ვაპატიებ არცერთ ყალბ ნოტას, — თქვა მასწავლებელმა და გოგონას ისევ სამიანი დაუწერა.

ის არ ტიროდა. არც იბუტებოდა. არც ნაწყენი იყო თავის მასწავლებელზე. მხოლოდ მუშაობას მოუმატა. ყოველდღე რამდენიმე საათს იჯდა და მეცადინეობდა.

დედა და დირექტორი შეთანხმდნენ, რომ მასწავლებელს გამოუცვლიდნენ. დაუძახეს გოგონას.

— ხვალიდან ახალ მასწავლებელთან იმეცადინებ, — უთხრა დირექტორმა. გოგონამ წარბები შეჰყარა. ნუშისებრი თვალები ფართოდ გაახილა, ჯერ დედას შეხედა, მერე დირექტორს.

— რატომ? — იკითხა გაკვირვებულმა. — მე ძალიან მომწონს ჩემი მუსიკის მასწავლებელი.

— მაგრამ ის შენ სამიანს გიწერს, — მიუგო დედამ.

— მე მივაღწევ, რომ მას მოეწონოს ჩემი დაკვრა, — ჯიუტად გაიქნია თავი გოგონამ.

ის უკრავდა დილით, შუადღეს, საღამოს. სულ როიალთან იჯდა... და ახლა, როცა იგი აღიარებული მუსიკოსია, ხშირად იგონებს თავის მუსიკის მასწავლებელს, რომელიც არც ჩხუბობდა, არც ყვიროდა, მაგრამ თვით ღმერთსაც არ აპატიებდა არც ერთ ყალბ ნოტას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებურები

## თურქული დღიურიდან

შემოდგომის ფოთლებივით შრიალებენ გაყვითლებული ფურცლები ძველთაძველ საქმეებში. ყოველდღე, დილიდან საღამომდე ვზივარ ამ ნათელ დარბაზებში და დაუსრულებლად ვფურცლავ და ვფურცლავ. წლები გარბიან ჩემს თითებ შუა, იბადებიან და ქრებიან თაობები: სულთნები, ვეზირები, სერასკერები, იანიჩრები, მამლუქები, ისევ სულთნები და ისევ ვეზირები. ფერდაკარგული სტრიქონებიდან შემომცქერიან წარსულის ლანდები. კვალდაკვალ მივყვები მათი ცხოვრების დახლართულ გზებს. ზოგიერთს კარგად გავუგე გულის ნადები, ზოგიერთი კი ისევ ისე გაუგებარი დარჩა ჩემთვის. აი თუნდაც ქუჩუქ ჰუსეინი, სამშობლოს ბედუკულმართობით შორეულ მხარეში გადახვეწილი ქართველი.

და განა მარტო ქუჩუქ ჰუსეინი? რამდენ ასეთ ვეზირს შევხვდი ამ ფურცლებს შორის, რამდენ ფაშას, სილიდრისა და სახელის მოხვეჭის წყურვილი რომ ჰკლავდათ. მაგრამ ვინ დათვალოს, რამდენ ქართველ მონას შევხვდი, ვნახე როგორ ჰყიდდნენ ქართველ ყმაწვილებს სტამბოლის ბაზრებზე. როგორ აჰყარეს დაბუდებული ადგილებიდან ქართველი გლეხობა.

ხანდახან მშვიდი საქმეები მხვდება ხელთ, ხან კი ზარბაზნების გრიალი მოისმის ქაღალდების ძველი დასტებიდან. მესმის ცხენების თქარათქური ჭოროხის ხეობაში და ხაოზარი ყიჟინა არსიანის მთის ფერდობებზე. წარმომიდგა ზიზილპიპილებით შემკული გენერლები და მოლუშული და თავჩაქინდრული ოსმალო ფაშები. სამშობლოდან ძალად წაყვანილი ათასობით და ათეულათასობით ქართველი ფეხით და ურმით რომ მიდიოდა. უცხო გზები, უცხო მხარე, უცხო ხალხი. საბუთებმა კანტიკუნტად შემოგვინახა საქართველოდან წასულთა შორეული მისამართები ოსმალეთის შიდა პროვინციებში: ბურსა, ქოჯაელი, სინოპი, ბალიქესირი. გავიდა წლები, მრავალი წელი, ზოგიერთისთვის ოთხმოცი, ზოგიერთისთვის მეტი. საქართველოში დაავიწყდათ შორს წასულები. კიდევ არიან თუ გაქრა მათი ხსენება? ძველ საქმეებში არაფერი იყო ამაზე ნათქვამი.

ასეთი დიდი ფორმატის წიგნებს ფოლიანტებს უწოდებენ. ვარდისფერი ყდა გიზიდავს და თვალს ახარებს. წინადადებები ცოტაა ამ წიგნში, მხოლოდ გამოზომილი სვეტებია და ამ სვეტებში ციფრები. ეს თურქეთის მოსახლეობის აღწერის მასალებია: ქალაქები, სოფლები, რამდენი დაიბადა, რამდენი გარდაიცვალა, ვინ, სად, როდის და რით გახდა ავად. ვისთვის რომელია მშობლიური ენა და რომელი მეორე სალაპარაკო ენა. ვინც კარგად იცნობს თანამედროვე თურქეთს, ის მიხვდება, თუ რას ნიშნავს აღწერის ეს გვერდი. კანონით დადგენილ იქნა — თურქეთის ყველა მოქალაქე ეროვნებით თურქია. მაგრამ თურქებს ჯერჯერობით კიდევ შეიძლება ჰქონოდათ სხვადასხვა მშობლიური ენა. ცხადია, მხოლოდ დროებით. და რადგანაც თურქეთის მესვეურთა გაგებით ქვეყნის ისტორიული პროგრესი უნდა გამოხატულიყო არათურქული ენების თანდათანობით მოსპობით, მოსახლეობის აღწერის მასალებს ისინი ისე ადგენდნენ და ასწორებდნენ, რომ დაემტკიცებინათ, თითქოს მიმდინარეობდა ის პროცესი, რაც, მათი აზრით, პროგრესს წარმოადგენდა. მოსახლეობის ყოველი აღწერა ხომ პროგრესის სარკეა. მშობლიურ ენად თურქულის გამოცხადება მისაბაძ მაგალითად ითვლებოდა და ხელისუფალთა ნდობის მოპოვებას ნიშნავდა. ყველა სხვა ენა კი იდევნებოდა.

ვეძებ სვეტებში ჩემთვის საინტერესო ციფრებს, ვეძებ ადგილებს, სადაც ლაპარაკობენ ქართულად და ვხედავ ბურსას, ქოჯაელის, სინოპს... გამოდის, რომ იმ უბედურ წლებში საქართველოდან წასულთ არ დავიწყებიათ ქართული ენა, უბრძოლიათ, არ დაუთმიათ...

აღწერის მონაცემები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. იქ, სადაც ციფრები არ ეთანხმებოდნენ თურქიზმის ოფიციალურ დოქტრინებს, ციფრებს ცვლიდნენ, ქართული ენის არსებობა თურქეთში ხომ ამსხვრევს იმათ იმედებს, ვინც თავისი ცხოვრების მიზნად თურქიზმის იდეების განხორციელება დაისახა. 1927 წლის მოსახლეობის აღწერის დროს თურქები ამტკიცებდნენ, თურქეთში ქართულად არც ერთი ადამიანი არ ლაპარაკობსო. 1935 წლის აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ ქართულ ენას (ლაზურის ჩათვლით) მშობლიურ ენად თვლის 120.578 კაცი, 1940 წლის აღწერის მასალების მიხედვით ქართულად მოლაპარაკენი კვლავ გაქრნენ, მაგრამ 1945 წელს ქართულ ენას მშობლიურ ენად თვლიდა 87.063 კაცი, 1950 წელს 143.027, 1955 წელს — 80.639. მოყვანილ ციფრებს იმავე აღწერების მასალების მიხედვით უნდა დავუმატოთ: 1935 წლის მონაცემებს 19.128, 1945 წლისას — 28.329 და 1955 წლისას — 39.705. ესენი არიან ისინი, ვინც თავის მეორე სალაპარაკო ენად ქართული (ან ლაზური) გამოაცხადა. ამრიგად, მივიღებთ შემდეგ ციფრებს 1935 წელს თურქული ოფიციალური ცნობებით თურქეთში იყო 139.706 ქართველი, 1945 წელს 115.392 და 1955 წელს 120.344. 1950 წლის აღწერის მასალებში მეორე სალაპარაკო ენის მიხედვით თურქეთის მოსახლეობა მოცემული არ არის, მაგრამ თუ ვიანგარიშებთ საშუალოს 1945 და 1955 წლებს შორის, მივიღებთ დაახლოებით 175.000 ქართველს.

აღწერის მასალებით ასეთ არათანმიმდევრულ მომატება-შემცირებას განიცდიან სხვა ეროვნებებიც. მაგალითად, 1945 წელს მშობლიურ ენად აფხაზურს თვლიდა 8.602 კაცი, 1950 წელს 17.200, ხოლო 1955 წელს 12.745. ამ საგაზეთო სტატიაში ძნელია ყოველი ციფრის მოყვანა-დაპირისპირება, მაგრამ აღწერის მასალების, თურქული პრესის მონაცემების და მოგზაურთა მასალების გულდასმითი შესწავლა ამტკიცებს, რომ ამჟამად თურქეთში იმ ქართველთა რიცხვი, რომელთა მშობლიურ ენად კვლავ ქართული რჩება, აღემატება 500.000 კაცს.

ბიზანტიის იმპერატორების ამ ძველი ციხე-სასახლის ნანგრევებიდან შესანიშნავია ბოსფორი, ოდნავ მაერ-კვამლის ბოლბანდში გახვეული. დიდი ქალაქის ხმაური ვერ აღწევს აქამდე, მხოლოდ ჭრიჭინა ჭრიჭინებს სადღაც ბალახებში. სტამბოლში ყოველ ჩამოსვლისას ამოვდივარ აქ, ამ ბორცვზე, ჩამოვჯდები ციხის ნანგრევებზე და დიდხანს ვუყურებ ბოსფორის ნაპირებს, ასეთ მშვიდს და ნაზ ცისფერს მთელ მსოფლიოს რომ აფორიაქებდა ასეული წლების მანძილზე. რამდენი ერი, რამდენი ქვეყანა, რამდენი სახელმწიფო სუნთქავდა ამ დიდი გზით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. თურქების მიერ კონსტანტინეპოლის დაკავებამ ხომ ჩვენც, ქართველებსაც, მარყუჟივით წაგვიჭირა ყელში.

ჩრდილები დამოკლდა, მზემ ზენიტს მიაღწია. უკვე რამდენი საათია აქა ვარ და ნურის შეკითხვები არ გამოლევია. ნურის ყველაფერი აინტერესებს, რაც საქართველოს შეეხება, — როგორია მთები, როგორია ცა, როგორია ხალხი. მე პირველი ქართველი ვარ საქართველოდან, რომელიც ნურიმ ნახა.

— მემლექეთში[1] ჯუმჰურბაშქანი[2] ხადაურია?

— ჩვენებურია.

— უნივერსიტეტი თუ არის?

— როგორ არა, არის, თბილისში.

— ალიმები[3] ხადაურებია?

— ჩვენებურებია.

და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი შეკითხვა მომცა ნურიმ. შემდეგ ნური ჩაფიქრდა.

სადღაც შორს იყურებოდა ანატოლიის მხარეს. ეტყობოდა, რომ მთელი არსებით იქ, მთების, ველების და ზღვების მიღმა, საქართველოში იყო.

აქაური ქართველები ქართულად ლაპარაკის დროს არ ხმარობენ სიტყვა საქართველოს ან გურჯისტანს, მათთვის ეს მემლექეთია — სამშობლო, ქართველი ქართველს არასოდეს არ ეკითხება: „ქართველი ხარ“, არამედ: „ჩვენებური ხარ?“, არასოდეს არ ჰკითხავს: „ქართული იცი?“, არამედ: „ჩვენებური იცი?“.

ნურიც ჩვენებურია. ბალიქესირიდან. ბალიქესირში სკოლა დაამთავრა, შემდეგ სტამბოლის უნივერსიტეტში შევიდა. ნურის თავისი ქართული გვარი არ ახსოვს. არც მამამისს, არც პაპას აღარ ხსომებიათ. გადმოცემით იცის მხოლოდ, რომ ქართველია და საბუთად აქვს ის, რომ მისი დედაენა ქართულია. იცის ისიც, რომ მისი წინაპრები საქართველოდან ძალად გადმოუსახლებიათ და ახალ საცხოვრებელ ადგილად ბალიქესირის ვილაეთი მიუჩენიათ. წინაპრებიდან დარჩა ნურის ქართული ენა და ქართველობის გრძნობა. ნურის მშობლები ახლაც ბალიქესირთან სოფელში ცხოვრობენ, სოფელში ცხოვრობს მისი ოთხი ძმაც.

— ხშირად თუ ნახულობ მშობლებს, ნური?

— ხუთი წელია აღარ მინახავს.

— არ გენატრება მშობლები?

— მენატრება. მაგრამ სახლში აღარ მიმესვლება. სტამბოლში თურქი ქალი შევირთე. როდესაც ჩვენებური თურქ ქალს შეირთავს, ის სახლიდან უნდა წავიდეს. ოჯახში, სოფელში თურქის შეყვანა არ შეიძლება.

— მაშ აქაური ქართველები უცხო ტომის ქალებს არ ირთავენ?

— რატომ არა, ირთავენ. ჩერქეზი, აფხაზი შეიძლება. თურქი არ შეიძლება. თურქი ქალი ოჯახს ათურქებს.

ლაპარაკობს ნური კარგი იმერხეული ქართულით. თორმეტ წლამდე მარტო ქართული ენა სცოდნია, მაგრამ მერე სკოლაში შეიყვანეს და თურქული ისწავლა. ქართული წერა-კითხვა მათ სოფელში არავინ იცის. ძალიან, ძალიან იშვიათად თუ ვინმემ იცის თურქეთის ქართველებში ქართული ანბანი.

— აუცილებლად შეიარე ჩვენს სოფლებში, აქ ბევრია ქართული სოფელი, გაეხარდებათ. ძალიან გაეხარდებათ. ჩაიწერე სოფლის სახელები, თორემ დაგავიწყდება. — და ნური მაწერინებს სოფლების სახელებს, თან პირობას მართმევს, რომ აუცილებლად შევივლი ქართულ სოფლებში.

ეს რა უდაბური ტყეა. მგონი არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ასწლოვანი ფიჭვები დგას გარშემო. კენწეროებში ქარი შრიალებს და მზის სხივი ირხევა წიწვმოფენილ მიწაზე. შემხვედრი თურქი ინტერესით მათვალიერებს. სადაურობას მეკითხება. გურჯის გაგონებაზე ტყის სიღრმისაკენ მიმითითებს — ქართველები იქ მუშაობენო. მართლაც გაკაფულ მდელოზე ჯირკვს მიყრდნობილი ბერიკაცი ზის. თავი ჩაუქინდრავს, ფიქრებშია წასული. მივუახლოვდი. ქართულად გამარჯობა ვუთხარი. თავი არ აუწევია, არც შერხეულა, მხოლოდ ოდნავ გასაგონი ხმით თურქულად მიპასუხა:

— მერჰაბა.

ქართული გამარჯობა კვლავ გავუმეორე. მხოლოდ ახლა ასწია თავი. შევამჩნიე თვალებში სინათლე აკლდა. მისუსტებული ხმით უკვე ქართულად მიპასუხა:

— ჩვენებური ხარ?

— მემლექეთიდან, გურჯისტანიდან ვარ.

არ ვიცი, რა დაემართა ამ მისუსტებულ ბერიკაცს. ზამბარასავით წამოიმართა, მკლავში ხელი მომკიდა და დამაცქერდა:

— ჩვენებური ხარ? მემლექეთიდან? — და ხელი გაურკვეველი მიმართულებით გააქნია. ასე აქნევენ ხელს, როდესაც ლაპარაკობენ რომელიღაც შორეულ, მიუწვდომელ მნათობზე ან ზღაპრულ არნახულ ქვეყანაზე. მოხუცმა აქეთ-იქით მიმოიხედა, მაგრამ ეტყობოდა ორიოდე ნაბიჯს იქით ველარაფერს ხედავდა და დაიძახა:

— ჯემალ, ჯემალ! — თან ჩემს ხელს ეჭიდებოდა, თითქოს ეშინოდა, რომ სადმე გავექცეოდი და ნახევრად დაბრმავებული თვალებით ველარ მიპოვნიდა.

— ჩემი შვილიშვილია, ჯემალი, მემლექეთიდან მოსული უნდა ვაჩვენო.

— სადაური ხარ, ბერიკაცო?

— იზმითის მხრიდანა ვარ, ათაქილი, მეჰმედ ათაქილი.

— ქართული გვარი, როგორი გაქვს?

— არ ვიცი. ჩვენს სოფელში აღარავის ახსოვს თავისი ქართული გვარი. ჩვენს მეზობელ სოფელში კიდევ ახსოვთ თავისი ნამდვილი გვარები, ისინი ჩვენს შემდეგ მოსულან.

— სოფელში სულ ქართველები ხართ?

— არა, ნახევარი სოფელი ჩვენებურებია, ნახევარი ჩერქეზები. არის ქართული სოფლებიც.

ვიღაც ახალგაზრდამ მოირბინა, 18-19 წლისა იქნებოდა, ტანზე ჯარისკაცის გამონაცვალი გამოხუნებული და დახეული პერანგი ეცვა, ფეხზე რაღაც ქალამნის მაგვარი, ოცდაათჯერ თასმით გადაკრული.

დედე, აქა ვარო, დაუძახა.

— ჩვენებურია, მემლექეთიდან! — მიახარა ბერიკაცმა.

ჯემალი მომიახლოვდა, ორიოდე ნაბიჯზე შეჩერდა, გაკვირვებული თვალებით მიყურებდა, გაუბედავად ხელი გამომიწოდა.

ჯემალმა სამი წელი ისწავლა სკოლაში, მეტის საშუალება აღარ ჰქონდა. დიდ ოჯახს გამოკვება სჭირდებოდა, მშობლებს დახმარება. ბავშვობიდან მოჯამაგირედ და დღიურ მუშად მუშაობს თურქეთის ხან ერთ, ხან მეორე მხარეში.

— წერა-კითხვა თუ იცი? — და უბის წიგნაკს ვაწოდებ. რომ სახელი და გვარი ჩამიწეროს. ჯემალს ბეჯითად გამოჰყავს ასოები, ეტყობა ბევრი არ უწერია თავის სიცოცხლეში. თავის სახელსა და გვარს თურქულად მიწერს.

— ჩვენებურად დამიწერე, — ვეუბნები, მაგრამ ჯემალმა არათუ არ იცის ქართული წერა, მას საერთოდ არ უნახავს თავის სიცოცხლეში, თუ როგორია ქართული ანბანი. უბის წიგნაკიდან ამოხეულ ფურცელზე ქართულად ვუწერ მის სახელსა და გვარს, მან უკუღმა დახედა, არ იცოდა, რომელია ზედა და რომელი ქვედა მხარე.

— ეს ჩვენებურია? — და გაკვირვებით უყურებს ჯემალი მისთვის უცნაურ ასოებს, რომლებიც სულაც არა ჰგავს არც ლათინურს და არც არაბულს. შემდეგ იმეორებს: ჯემალ ათაქილი, ჯემალ ათაქილი და თითს აყოლებს ნაწერს, თან იღიმება:

— მემლექეთში სულ ასე წერენ? წიგნებიც ასეა დაწერილი?

— წიგნებიც, გაზეთებიც, ოქულშიც[1] ქართულად ასწავლიან, დაირეც[2] ქართულ ენაზეა.

ვხედავ, უხარია ჯემალს, რომ მისი ენაც ენა ყოფილა. მან ხომ არ იცის არც რუსთაველი, არც ილია, არც აკაკი, არც ის იცის, რომ ისინი ოდესმე არსებობდნენ ამ ქვეყანაზე. მას მხოლოდ გაუგონია, რომ არსებობს გურჯისტანი — გურჯების ქვეყანა, მისი მემლექეთი, სადაც ცხოვრობენ გურჯები, ბევრი გურჯები ერთად თავმოყრილი. მაგრამ მისთვის ისიც უთქვამთ, რომ თითქოს გურჯისტანი დიდი ხანია აღარ არსებობს და აღარც გურჯები არიან გურჯისტანში.

ჩვენს გარშემო ხალხი შეგროვდა, თურქები იყვნენ. მეჰმედი გაუთავებლად იმეორებდა:

— გურჯისტანლი, გურჯისტანლი.[3]

რამდენიმე კაცი ინტერესით ათვალიერებდა ქართულად დაწერილ ორ სიტყვას — ჯემალ ათაქილის სახელსა და გვარს. ჯემალი კი იდგა მათ შორის ამაყად, თავაწეული. ეს აღარ იყო ის ჯემალი, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ აქ მოირბინა.

მთის ფერდობზე მწვანეში ჩაფლული ქართული ოდა-სახლები დგას. სახლების გვერდით ნალიები, იქვე ბეღლები. სოფელს ვუახლოვდებით ორღობეებით. კაკლების ძირას, მწვანე მოლზე ბავშვები თამაშობენ. ერთი გარბის, მეორე ქართულად უყვირის:

— დადექი, ქვას გესვრი!

მხოლოდ ერთი საათია, რაც ხმელთაშუა ზღვის ნაპირიდან დაკიდებული ბილიკებით მთებში ფეხით მოვდივარ და უცებ... ქართული სიტყვა, ქართული სოფელი.

ფაჩრიე წინ გარბის და თავისი წკრიალა, ჯერ კიდევ ბავშვური ხმით გაიძახის:

— მემლექეთიდან კაცი მოვიდა!

ვიღაცამ მოირბინა, უნდობლად მეკითხება:

— ჩვენებური ხარ? მემლექეთიდან?

მესმის ჩემს გვერდით თმაშეთეთრებული ქალი ახოვან ახალგაზრდას ეკითხება:

— ჩვენებური თუ იცის?

— მემლექეთში ჩვენებური ყველამ იცის, ოქულიც ჩვენებურად არის, რესმი დილიც[1] ჩვენებური ყოფილა.

ორღობიდან ვიღაც მოგვძახის:

— დადექით!

ვიხედები, მოხუცი მორბის, ფეხშიშველი, უკან გოგონა მისდევს ფეხსაცმლებით, ეუბნება, გაცივდებიო.

მოხუცი მომიახლოვდა, თვალებში ჩამხედა:

— მემლექეთიდან ხარ?

ლოყა ლოყაზე მომადო, ხელი მომხვია. ვგრძნობ, როგორ ეცემა ცრემლი მის თვალებიდან ჩემს ლოყას.

— როდის ჩამოხვედი მემლექეთიდან? — მეკითხება მოხუცი.

— ერთი თვე იქნება მალე.

— ერთი თვეა, — იმეორებს მოხუცი — ერთი თვის წინ შენ იქ იყავი. ჩვენ კი ასი წელია მალე, რაც აქა ვართ.

ახალგაზრდა ქალს ორი პატარა გოგონა მოჰყავს, ჩემზე უთითებს და ეუბნება:

— მემლექეთიდან მოვიდა, ჩვენებურია.

გარშემო გაისმის: მემლექეთიდან, ჩვენებურია, ჩვენებურია...

კითხვებს მაყრიან, პასუხს ვერ ვასწრებ.

მივდივართ ორღობეებში ჩვენებური ოდა-სახლების, ჩვენებური ნალიების გვერდით, მესმის ჩვენებური ლაპარაკი...

საღამოხანს უცებ აგრილდა. ასე იცის შუაგულ ანატოლიაში. დღით სიცხისაგან შეწუხებული ხალხი გარეთ გამოეფინა. აინთო ფირნიშები. ყავახანებში ტევა აღარ იყო. გუნდ-გუნდად იდგნენ უსაქმო ახალგაზრდები და გამვლელებს კირდავდნენ, მოწყენილი მედუქნეები თვლემდნენ დარაბების შესასვლელებთან, ტაქსის შოფრები ხმამაღლა მუშტრებს უხმობდნენ, მეწვრილმანეები ურიკებს დააგორებდნენ, მეწვადეები ქუჩის პირზე მწვადებს წვავდნენ...

მე და თურჰანი ნელა მივყვებით სივასის ქუჩებს. ქუჩა გრძელია, თითქმის მთელ ქალაქს სჭრის. თურჰანი ბავშვობიდანვე ქალაქშია წამოსული. ხუთი ბავშვი ჰყავს, ხელობა აქვს.

— თითქმის ყოველ საღამოს ვუსმენ თბილისის რადიოს, — მეუბნება თურჰანი, — აქაური ქართველები ყველანი ვუსმენთ.

ამიტომ თურჰანმა ბევრი რამ იცის საქართველოს შესახებ. ქართული წერა-კითხვაც შეუსწავლია, მაგრამ ორიოდე ქართული წიგნის მეტი არა ჰქონია. ერთი მამიდან დარჩენია, მეორე კი ამ ათიოდე წლის წინათ რომელიღაც ქართველს უჩუქებია სტამბოლში.

— სოფელში კიდევ არა უშავს რა, სოფელში მარტო ქართველები არიან და ენას ინარჩუნებენ, არ ავიწყდებათ, ჩვენ კი, ქალაქში წამოსულები, მეტად მძიმე მდგომარეობაში ვართ. ქალაქში ყველაფერი თურქულია. მეზობლებით დაწყებული. ამიტომ უცხო ტომის კაცი ადვილად თურქდება, თურქულ ენას ეჩვევა და თავისი ავიწყდება. მაინც ვცდილობთ ენა არ დავივიწყოთ, ბავშვებს ვასწავლით, ზაფხულობით სოფელში ვგზავნით, რომ ქართულად ილაპარაკონ. მაგრამ მაინც ძნელია, ძალიან ძნელი. ჩემს ბავშვებს ქართული ანბანი ვასწავლე, მაგრამ ქართული წიგნები საიდან ვუშოვნო.

ისევ შრიალებენ გაყვითლებული ფურცლები ძველთაძველ საქმეებში. ისევ გარბიან წლები ჩემს თითებ შუა, იბადებიან და ქრებიან თაობები, ფერდაკარგული სტრიქონებიდან შემომცქერიან წარსულის ლანდები...

როდესაც ვიღლები, აივნიდან გავცქერი მზით სავსე ჩემს ქალაქს, სადაც ქართულად წერენ, ქართულად სწავლობენ... შორიდან კი, ცის დასავლეთიდან თითქოს შემომყურებენ ნური, მეჰმედი, ჯემალი, თურჰანი... ესენი ხომ წარსულის ლანდები არ არიან...

ოთარ გიგინეიშვილი.

1 მემლექეთ (თურქული) — აქ იხმარება სამშობლოს მნიშვნელობით.
2 ჯუმჰურბაშქან (თურქული) — პრეზიდენტი.
3 ალიმ (თურქული) — მეცნიერი.

1. ოქულ (თურქული) — სკოლა.
2. დაირე (თურქული) — დაწესებულება
3 გურჯისტანლი (თურქული) — საქართველოს მცხოვრები

1 რესმი დილ (თურქული) — ოფიციალური, სახელმწიფო ენა.



## ჩვენი ბავშვები

შეხედეთ ამ ნათელ სახეებს, დააკვირდით რა ლაღი, უშუალო და გულწრფელია მათი სიცილი და მხიარულება.

შეხედავთ და მაშინვე იტყვით: რა ბედნიერნი არიან!

და იცით, ყველაზე დიდ სიხარულსა და ბედნიერებას ვინ ანიჭებს ამ გოგო-ბიჭებს?

დედა.

იხარეთ, დედის სითბო და ალერსი ნუმც მოგკლებიათ, ჩვენო ყვავილებო.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

## ტყუპად სამი ბიჭუნა

ბათუმი, 7 მარტი. (საქდესის საკ. კორ.). ბათუმის რაიონის სოფელ კახაბრის მცხოვრებმა ე. მ. თებიძემ ტყუპად შობა სამი ბიჭუნა. დედა და ახლადშობილი ბავშვები თავს კარგად გრძნობენ. ოცდაჩვიდმეტი წლის ე. თებიძე ახლა შვიდი შვილის დედაა.

ტყუპად სამი ბავშვის გაჩენა, როგორც ცნობილია, იშვიათი მოვლენაა. აჭარის ასს რესპუბლიკაში, მაგალითად, ამ ბოლო 32 წელიწადში ეს მხოლოდ მეექვსე შემთხვევაა.

## ფრიალებს სპარტაკიადის ალამი

△ ფ. სალიმჯანოვას ოქროს ნადავლი △ ტერსკოლის გმირები △ გამარჯვებულნი სათხილამურო ამანათრბენში

პროფკავშირული სპარტაკიადის ყოველ დღეს ახალ-ახალი წარმატება მოაქვს. სპორტული შედეგები მაღალია. გამარჯვებულებს საზეიმოდ გადასცემენ არა მარტო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს, არამედ სპეციალურ პრიზებსაც, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებმა და ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციებმა დააწესეს.

სპარტაკიადაზე მორიგი ოქროს მედლის მფლობელი გახდა მოსკოველი მოთხილამურე ქალი ფ. სალიმჯანოვა. იგი პირველი იყო 10 კილომეტრის სათხილამურო გადარბენაში. დრო — 42 წუთი და 41 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ცნობილი ლენინგრადელი მოთხილამურე მ. გუსაკოვა.

საინტერესო იყო სათხილამურო ამანათრბენი 4X10 კილომეტრზე ვაჟთათვის. ბოლო ეტაპზე დაწინაურდა მოსკოვის ოლქის გუნდი და სპარტაკიადის ჩემპიონობაც მას მიეკუთვნა. ჩემპიონებმა აჩვენა დრო — 2 საათი, 25 წუთი და 27 წამი.

ტერსკოლში, სამთო მოთხილამურეებს ფინიში ჰქონდათ. სპეციალურ სლალომში ვაჟთა შორის წარმატება მოსკოველ სპორტსმენ ა. შუცოვს ხვდა. სამჭიდში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ვ. მელნიკოვი.

## დაღუპვას გადაარჩინეს

ეს ღამით მოხდა. საბარგო მატარებელი № 2410 ფოთს უახლოვდებოდა. უცებ ელმავლის მემანქანემ რაჟდენ დოლიძემ ლიანდაგზე ცხენიანი კაცი შენიშნა. ფიქრის დრო აღარ იყო. უმალვე შემადგენლობა დაამუხრუჭა, მაგრამ ინერციის ძალა დიდი იყო, ხოლო მანძილი მოკლე.

გამოცდილმა მემანქანემ საჭე თანაშემწეს სანდრო ნეგუშაშვილს გადასცა, თვითონ ელმავლის ბაქანზე გავიდა, კაცს ხელი ჰკრა და ლიანდაგიდან გადაისროლა. ცხენი დაიღუპა, მაგრამ ადამიანი გადარჩა. მემანქანემ და მისმა თანაშემწემ დაზარალებული მოქალაქე, რომელიც ნასვამი აღმოჩნდა, ელმავალზე აიყვანეს და რკინიგზის მედპუნქტში მოათავსეს.

კ. კომახიძე.

## დიდი ფულადი მოგება

სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის ბრიგადის ბრიგადირმა ნიკოლოზ ივანეს-ძე ჯანიაშვილმა სიღნაღის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის 20-მანეთიანი ობლიგაცია № 02, სერია 127 113, რომელმაც ხუთი ათასი მანეთი მოიგო.

მ. ზურიაშვილი.

## დათვთან შებმა

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). სოფელ შუბნის მცხოვრები ზაურ წიქორიძე ნადირობისას მოულოდნელად დათვის ბუნაგს წააწყდა. ვეება მხეცი ადამიანის პირისპირ აღიმართა და შესაზმელად დაიძრა. ახალგაზრდა მონადირე არ დაიბნა, დათვს ტყვია დაახალა. მაგრამ დაჭრილი და გამძვინვარებული მხეცი ადამიანს ეკვეთა.

ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ორთაბრძოლა, რომ მშველელნი არ გამოჩენილიყვნენ. თანასოფლელმა მონადირეებმა ბ. ჭელიძემ და კ. კუნჭულიამ დათვი მოკლეს და ამხანაგი საფრთხისაგან იხსნეს. მერე დათვის ბუნაგიდან ცოცხალი ბელი ამოიყვანეს და ნადავლით სოფელს დაუბრუნდნენ.

## ნონას მონაწილეობით

დღეს ბელგრადში დაიწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ქალთათვის. ეს ასპარეზობა ტრადიციული გახდა. მასში სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა მოჭადრაკეები, რომლებსაც ტურნირის ფავორიტებად თვლიან. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ამ შეჯიბრებაში დაიცავენ მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და საერთაშორისო ოსტატი ტატიანა ზატულოვსკაია.

მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის წინ ეს იქნება ძალთა მოსინჯვა, გაფრინდაშვილისათვის კი მომავალ შესაძლო მეტოქეთა უკეთ გაცნობა და წვრთნა. გარდა მსოფლიოს ჩემპიონისა და ტ. ზატულოვსკაიასი, ტურნირში გამოვლენ იუგოსლავიის, რუმინეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების გამოჩენილი ოსტატები — მ. ლაზარევიჩი, ა. ნიკოლაუ, ვ. ასენოვა და სხვები.

ლაზარევიჩი და ნიკოლაუ წინა ტურნირშიც გამოდიოდნენ. მაშინ გაფრინდაშვილმა ნიკოლაუსთან პირველი და მეორე ადგილები გაიყო. ისიც აღსანიშნავია, რომ უცხოელ მოჭადრაკეთაგან ნონასთან შეხვედრაში ყველაზე უკეთესი ბალანსი ნიკოლაუს აქვს — 4:4.

ცხადია, ტურნირი მეტად საინტერესო და მიმზიდველი იქნება.

კომუნისტის სპორტი

## მატჩები და შედეგები

რუსთავში პაექრობა ჰქონდათ პირველი ჯგუფის წარმომადგენლებს — ოდესის არმიის სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდებს. მატჩის შედეგია 3:0 ოდესელთა სასარგებლოდ.

ტაშკენტში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელის“ ფეხბურთელთა კოლექტივები. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

ბაქოში ადგილობრივმა „ნეფტიანიკმა“ დაამარცხა ოდესის „ჩერნომორეცი“ 2:0.

დუშანბეში თამაშობდნენ ადგილობრივი „ენერგეტიკისა“ და ყარაგანდის „შახტიორის“ გუნდები. გაიმარჯვეს ყარაგანდელებმა 3:0.

## სპორტული ქრონიკა

△ დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოფარიკავეთა ლვოვის ტურნირი. ეს იყო შესარჩევი ასპარეზობის პირველი ეტაპი მსოფლიოს პირველობისათვის. მეორე ეტაპი შედგება მინსკში აპრილის დასაწყისში. როგორც ცნობილია, ქალთათვის რაპირით და ვაჟთათვის დაშნით ბრძოლაში უძლიერესები იყვნენ მინსკელი დიანა ნიკანჩიკოვა და თბილისელი ბურამ კოსტავა. ამის შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულები ხმლითა და რაპირით ბრძოლაში ვაჟთა შორის. ესენი იყვნენ მოსკოველები მ. რაკიტა და მ. მიდლერი.

△ თბილისში დასასრულს უახლოვდება საქალაქო ჩემპიონატები ჭადრაკში ქალთა და ვაჟთათვის. ვაჟთა შორის უკანასკნელი ტურის წინ ლიდერია ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, რომელსაც 16-დან 12,5 ქულა აქვს. დ. ჯანოევი ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება. დღეს გაიმართება უკანასკნელი ტური. ქალთა ჩემპიონატზე გათამაშდა 15 ტური. წინ არის ს. ივანოვა — 11,5 ქულა.

9 მარტს, დღის 1 საათზე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში (გ. ათონელის ქ. № 25) გაიხსნება სირიის თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 10 მარტს

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.



გაზაფხულდა. მზეს სითბო მოემატა. გაიღვიძა ბუნებამ. მალე ჭრელ სამოსელში გაეხვევა მინდორ-ველი. თბილისის ქუჩებში ხშირად შეხვდებით ქალიშვილებს გაზაფხულის ყვავილებით. სურათზე: თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები ნანა ლობჟანიძე, ლუიზა ბანანაშვილი, ლარისა მონცელიძე და ქეთინო გელაშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

## ტელევიზია

8 მარტი

10.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ვინ შეაკაზმავს ცხენს“, 12.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „წრფელი გულით“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.25 — გადაცემათა პროგრამა, 17.30 — გადაცემა ოქტომბრელთათვის „ჩემი დედა ყველაზე ლამაზია“, 18.35 — კინოხარკევეი. 19.15 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „ჯავნანა“, 20.45 — კინოხარკევეი, 20.55 — გადაცემათა პროგრამა 9 მარტისათვის, 21.00 — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „ცამეტი სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — საესტრადო-მუსიკალური მიმოხილვა „მუსიკალური მაღაზია“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.50 სპორტული გადაცემა (გადმოცემა გორკიდან), 23.00 — „თეატრალური შეხვედრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღის 12 ს. საღამოს 16 ს. 25 წ.

## ჩა ვცესოთ, ჩა მოვისმინოთ

9 მარტი

11.00 — სატელევიზიო დადგმა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობისა „ფინჯანი“ (6 მარტის საღამოს დადგმის გამეორება), 11.50 — მხატვრული ფილმი „ჰამლეტი“ (I სერია), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის მხიარული მატარებელი (გადმოცემა ლენინგრადიდან), 18.30 — მოსწავლეთათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.20 — გადაცემა „დოლი ივერისპირეთში“, 19.35 — კონცერტი, 20.00 — გადაცემა მოსკოვიდან, 22.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.20 — მხატვრული ფილმი „ჰამლეტი“ (I სერია).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 საათსა და 45 წ.

## თეატრები

8 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გორდა (სოხუმის რაიონის მშრომელებისათვის), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სიმღერა შევარდენზე (დღისით), ბებერი მეზურნეები (საღამოს), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — „პატარა უფლისწული“ (პრემიერა). მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჯარისკაცის ქვრივი (დღისით და საღამოს), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე (დღისით და საღამოს),

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90. წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 | ღე 03173 | საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.